საქართველოს მთავრობის

დადგენილება №134

2013 წლის 31 მაისი

ქ. თბილისი

შესაბამისობის შეფასების მოდულების, ქვემოდულების და მათთან დაკავშირებული პროცედურების განსაზღვრის შესახებ

მუხლი 1

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 103-ე მუხლის 21-ე და 22-ე ნაწილების შესაბამისად, ასევე, „სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საქართველოს მთავრობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 16 ივლისის №965 და „სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საკანონმდებლო რეფორმის და ტექნიკური რეგლამენტების მიღების სამთავრობო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს №1140 განკარგულებების მიზნების შესრულებისთვის განისაზღვროს შესაბამისობის შეფასების მოდულები, ქვემოდულები და მათთან დაკავშირებული პროცედურები თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ამ დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისობის შეფასების მოდულების და ქვემოდულების გამოყენება სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ, ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტებით რეგულირებულ სფეროში.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2013 წლის 1 სექტემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**

დანართი

შესაბამისობის შეფასების მოდულები, ქვემოდულები და მათთან დაკავშირებული პროცედურები

მუხლი 1. შესაბამისობის შეფასების პროცედურები

1. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის თანახმად დამტკიცებული ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტებით მოთხოვნილი პროდუქტის შესაბამისობის შეფასების პროცედურები ხორციელდება პირველ დანართში მოცემული მოდულების შესაბამისად, შერჩევით ან მათი კომბინაციით. მოდულები გამოყენებულ უნდა იქნეს შესაბამის პროდუქტზე საჭიროებისამებრ, აღნიშნულ მოდულებში ჩამოყალიბებული ინსტრუქციების შესაბამისად.

2. მომხმარებლის შეკვეთით დამზადებული პროდუქტის და ასევე მცირესერიული პროდუქტისთვის გამოიყენება შესაბამისობის შეფასების პროცედურასთან დაკავშირებული გამარტივებული ტექნიკური და ადმინისტრაციული პირობები.

3. დადგენილების პირველი პუნქტით განსაზღვრული მოდულების სათანადო და რელევანტური გამოყენებისას, კონკრეტული სახის პროდუქტზე არსებული ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად შესაძლებელია:

ა) მოთხოვნილ იქნეს დამატებითი ინფორმაცია ტექნიკურ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, გარდა №1 დანართით განსაზღვრულ მოდულებში მითითებული ინფორმაციისა, ან დაზუსტდეს მოდული/ქვემოდული პროდუქტის სპეციფიკიდან გამომდინარე;

ბ) შეიცვალოს №1 დანართით განსაზღვრულ მოდულებში განსაზღვრული დროის მონაკვეთის

ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც მწარმოებელი ან/და შესაბამისობის შემფასებელი პირი ვალდებულია შეინახოს ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია;

გ) მოთხოვნილ იქნეს, რომ მწარმოებელმა მიუთითოს რომელი აკრედიტებული ან კანონით განსაზღვრული ორგანოს (შემდგომში შესაბამისობის შემფასებელი პირის) მიერ განხორციელდა შესაბამისობის შეფასება;

დ) განისაზღვროს პროდუქტის ტიპის სერტიფიკატის მოქმედების ვადა;

ე) პროდუქტის ტიპის სერტიფიკატში ან მის დანართებში მითითებული იქნეს სათანადო ინფორმაცია შესაბამისობის შეფასების და წარმოების პროცესის კონტროლის შესახებ;

ვ) შესაბამისობის შემფასებელი პირის მიერ პერიოდული აუდიტის განხორციელების საჭიროების შემთხვევაში, მითითებული იქნეს მისი ჩატარების სიხშირე.

4. ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტი მიუთითებს №1 დანართით განსაზღვრული მოდულების ან/და ქვემოდულების გამოყენებას (რომელი/რომლები გამოიყენება) შესაბამისობის შეფასებისათვის იმ სფეროს მიკუთვნებულ პროდუქტზე, რომელსაც იგი არეგულირებს.

5. №2 დანართით განსაზღვრულია შესაბამისობის შეფასების პროცედურების ცხრილი.

6. №3 დანართით განსაზღვრულია ის მინიმალური ინფორმაცია, რომელსაც უნდა შეიცავდეს მწარმოებლის მიერ შედგენილი შესაბამისობის დეკლარაცია.

მუხლი 2. ტერმინები და განმარტებები

წინამდებარე დადგენილებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განმარტებული მნიშვნელობა.

დანართი №1

შესაბამისობის შეფასების მოდულები

მოდული A

შიდა საწარმოო კონტროლი

1. შიდა საწარმოო კონტროლი წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურას, რომლის საშუალებითაც მწარმოებელი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი (შემდგომში მწარმოებელი) ასრულებს ამ მოდულის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ ვალდებულებებს და უზრუნველყოფს და იღებს პასუხისმგებლობას, რომ პროდუქტი აკმაყოფილებს მისთვის ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილ მოთხოვნებს.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

მწარმოებელმა უნდა შექმნას ტექნიკური დოკუმენტაცია. დოკუმენტაცია უნდა იძლეოდეს პროდუქტის შესაბამისობის შეფასების საშუალებას სათანადო მოთხოვნებთან და უნდა შეიცავდეს რისკ(ებ)ის ადეკვატურ ანალიზსა და შეფასებას. ტექნიკური დოკუმენტაციით ზუსტად განისაზღვრება სათანადო მოთხოვნები და იგი მოიცავს, რამდენადაც ეს შეფასებისთვის იქნება აუცილებელი, პროდუქტის პროექტირების, წარმოებისა და ექსპლუატაციის ეტაპებს. ტექნიკური დოკუმენტაცია, საჭიროებისამებრ, უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ ელემენტებს:

- პროდუქტის საერთო აღწერილობას;

- კონცეპტუალურ პროექტს, ტექნოლოგიურ ნახაზებს და კომპონენტების, ქვესისტემების და სხვა სქემებს;

- აღნიშნული ნახაზების, სქემების და პროდუქტის ექსპლუატაციისთვის აუცილებელ აღწერილობას და განმარტებებს;

- ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისი სტანდარტების ან/და სხვა რელევანტური ტექნიკური მახასიათებლების ჩამონათვალს, რომელიც გამოიყენება სრულად ან ნაწილობრივ, ასევე, აღწერი-

ლობას ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების ძირითადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მიღებულ გადაწყვეტილებებს, იმ შემთხვევაში, როცა არ იყო გამოყენებული შესაბამისი სტანდარტები. შესაბამისი სტანდარტების ნაწილობრივი გამოყენების შემთხვევაში, ტექნიკურმა დოკუმენტაციამ ზუსტად უნდა განსაზღვროს სტანდარტის ის ნაწილები, რომელიც იქნა გამოყენებული;

- საპროექტო გაანგარიშების, ჩატარებული შემოწმებების და სხვა შედეგებს;

- გამოცდების ანგარიშებს.

3. წარმოება

მწარმოებელმა უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა იმისთვის, რომ საწარმოო პროცესმა და მისმა მონიტორინგმა უზრუნველყოს წარმოებული პროდუქტის შესაბამისობა ამ მოდულის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ტექნიკურ დოკუმენტაციასა და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებთან.

4. შესაბამისობის ნიშანდება და შესაბამისობის დეკლარაცია

4.1. მწარმოებელმა უნდა დაიტანოს თითოეულ ინდივიდუალურ პროდუქტზე, ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი სავალდებულო შესაბამისობის ნიშანდება, რომელიც დააკმაყოფილებს ტექ-ნიკური რეგლამენტის სათანადო მოთხოვნებს.

4.2. მწარმოებელმა უნდა შეადგინოს შესაბამისობის დეკლარაცია პროდუქტის მოდელისათვის და უნდა უზრუნველყოს მისი შენახვა ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში, შესაბამისი ორგანოებისთვის წარსადგენად. შესაბამისობის დეკლარაციაში ზუსტად უნდა განისაზღვროს პროდუქტი, რომლისთვისაც ეს დეკლარაცია შეიქმნა.

შესაბამისობის დეკლარაციის ასლი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი ორგანოებისათვის, მათი მოთხოვნის შემთხვევაში.

5. უფლებამოსილი წარმომადგენელი

ამ მოდულის მე-4 პუნქტით განსაზღვრული მწარმოებლის ვალდებულებები, შესაძლებელია შესრულდეს მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მისი სახელით და მისივე პასუხისმგებლობით, იმ პირობით, თუ ეს განსაზღვრულია შესაბამისი ხელშეკრულებით.

მოდული A1

შიდა საწარმოო კონტროლი, პროდუქტის გამოცდის მონიტორინგთან ერთად

1. შიდა საწარმოო კონტროლს დამატებული პროდუქტის გამოცდის მონიტორინგი წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურას, რომლის საშუალებითაც მწარმოებელი ასრულებს ამ მოდულის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრულ ვალდებულებებს და უზრუნველყოფს და იღებს პასუხისმგებლობას, რომ პროდუქტი აკმაყოფილებს მისთვის ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილ მოთხოვნებს.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

მწარმოებელმა უნდა შექმნას ტექნიკური დოკუმენტაცია. დოკუმენტაცია უნდა იძლეოდეს პროდუქტის შესაბამისობის შეფასების საშუალებას სათანადო მოთხოვნებთან და უნდა შეიცავდეს რისკ(ებ)ის ადეკვატურ ანალიზსა და შეფასებას.

ტექნიკური დოკუმენტაციით ზუსტად განისაზღვრება სათანადო მოთხოვნები და მოიცავს, რამდენადაც ეს შეფასებისთვის იქნება აუცილებელი, ინფორმაციას პროდუქტის ნიმუშის შემუშავების, პროდუქტის წარმოებისა და ექსპლუატაციის შესახებ. ტექნიკური დოკუმენტაცია, საჭიროებისამებრ, უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ ელემენტებს:

- პროდუქტის საერთო აღწერილობას;

- კონცეპტუალურ პროექტს, ტექნოლოგიურ ნახაზებს და კომპონენტების, ქვესისტემების და სხვა სქემებს;

- აღნიშნული ნახაზების, სქემების და პროდუქტის ექსპლუატაციისთვის აუცილებელ აღწერილობას და განმარტებებს;

- ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისი სტანდარტების ან/და სხვა რელევანტური ტექნიკური მახასიათებლების ჩამონათვალს, რომლებიც გამოიყენება სრულად ან ნაწილობრივ, ასევე, აღწერილობას ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების ძირითადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მიღებულ გადაწყვეტილებებს იმ შემთხვევაში, როცა არ იყო გამოყენებული შესაბამისი სტანდარტები. შესაბამისი სტანდარტების ნაწილობრივი გამოყენების შემთხვევაში, ტექნიკურმა დოკუმენტაციამ ზუსტად უნდა განსაზღვროს სტანდარტის ის ნაწილები, რომელიც იქნა გამოყენებული;

- საწარმოო ნიმუშის გაანგარიშების, ჩატარებული ცდებისა და სხვა შედეგებს;

- გამოცდების ანგარიშებს.

3. წარმოება

მწარმოებელმა უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა იმისთვის, რომ საწარმოო პროცესმა და მისმა მონიტორინგმა უზრუნველყოს წარმოებული პროდუქტის შესაბამისობა ამ მოდულის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ტექნიკურ დოკუმენტაციასა და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებთან.

4. პროდუქტის საკონტროლო შემოწმება

თითოეული წარმოებული პროდუქტისათვის, მწარმოებელმა თავისი სახელით უნდა განახორციელოს პროდუქტის ერთი, ან ერთზე მეტი სპეციფიკური ასპექტის ერთი, ან ერთზე მეტი გამოცდა, მისი შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. მწარმოებლის შეხედულებისამებრ, გამოცდა შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამისობის შემფასებელი პირის (მათ შორის, მწარმოებლის კუთვნილი) მიერ.

შესაბამისობის შემფასებელი პირის მიერ გამოცდების განხორციელების შემთხვევაში, მწარმოებელმა შესაბამისობის შემფასებელი პირის პასუხისმგებლობის ქვეშ პროდუქტზე უნდა დაიტანოს მისი აკრედიტაციის მოწმობის ნომერი.

5. შესაბამისობის ნიშანდება და შესაბამისობის დეკლარაცია

5.1 მწარმოებელმა, თითოეულ პროდუქტზე უნდა დაიტანოს შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი სავალდებულო შესაბამისობის ნიშანდება.

5.2 მწარმოებელმა უნდა შეადგინოს შესაბამისობის დეკლარაცია პროდუქტის მოდელისათვის და უნდა უზრუნველყოს მისი შენახვა ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად, პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში, შესაბამისი ორგანოებისთვის წარსადგენად. შესაბამისობის დეკლარაციაში ზუსტად უნდა განისაზღვროს პროდუქტი, რომლისთვისაც ეს დეკლარაცია შეიქმნა.

შესაბამისობის დეკლარაციის ასლი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი ორგანოებისათვის, მათი მოთხოვნის შემთხვევაში.

6. უფლებამოსილი წარმომადგენელი

ამ მოდულის მე-5 პუნქტით განსაზღვრული მწარმოებლის ვალდებულებები, შესაძლებელია შესრულდეს მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მისი სახელით და მისივე პასუხისმგებლობით, იმ პირობით თუ ეს განსაზღვრულია შესაბამისი ხელშეკრულებით.

მოდული A2

შიდა საწარმოო კონტროლს დამატებული პროდუქტის საკონტროლო შემოწმების მონიტორინგი შემთხვევითი ინტერვალებით

1. შიდა საწარმოო კონტროლს დამატებული შემთხვევითი ინტერვალებით განხორციელებული პროდუქტის შემოწმების მონიტორინგი წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურას, რომლის საშუალებითაც მწარმოებელი ასრულებს ამ მოდულის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრულ ვალდებულებებს და უზრუნველყოფს და იღებს პასუხისმგებლობას, რომ პროდუქტი აკმაყოფილებს მისთვის ტექნიკური

რეგლამენტებით დადგენილ მოთხოვნებს.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

მწარმოებელმა უნდა შექმნას ტექნიკური დოკუმენტაცია. დოკუმენტაცია უნდა იძლეოდეს პროდუქტის შესაბამისობის შეფასების საშუალებას სათანადო მოთხოვნებთან და უნდა შეიცავდეს რისკ(ებ)ის ადეკვატურ ანალიზს და შეფასებას.

ტექნიკური დოკუმენტაციით ზუსტად განისაზღვრება სათანადო მოთხოვნები და მოიცავს, რამდენადაც ეს შეფასებისთვის იქნება აუცილებელი, ინფორმაციას პროდუქტის საწარმოო ნიმუშის, მისი წარმოებისა და ექსპლუატაციის შესახებ. ტექნიკური დოკუმენტაცია, საჭიროებისამებრ, სულ მცირე უნდა შეიცავდეს, შემდეგ ელემენტებს:

- პროდუქტის საერთო აღწერილობას;

- კონცეპტუალურ პროექტს, ტექნოლოგიურ ნახაზებსა და კომპონენტების, ქვესისტემების და სხვა სქემებს;

- აღნიშნული ნახაზების, სქემების და პროდუქტის ექსპლუატაციისთვის აუცილებელ აღწერილობას და განმარტებებს;

- ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისი სტანდარტების ან/და სხვა რელევანტური ტექნიკური მახასიათებლების ჩამონათვალს, რომელიც გამოიყენება სრულად ან ნაწილობრივ, ასევე აღწერილობას ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების ძირითადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მიღებულ გადაწყვეტილებებს, როცა არ იყო გამოყენებული შესაბამისი სტანდარტები. შესაბამისი სტანდარტების ნაწილობრივი გამოყენების შემთხვევაში, ტექნიკურმა დოკუმენტაციამ ზუსტად უნდა განსაზღვროს სტანდარტის ის ნაწილები, რომელიც იქნა გამოყენებული;

- საწარმოო ნიმუშის გაანგარიშების, ჩატარებული ცდებისა და სხვა შედეგებს;

- გამოცდების ანგარიშებს.

3. წარმოება

მწარმოებელმა უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა იმისთვის, რომ საწარმოო პროცესმა და მისმა მონიტორინგმა უზრუნველყოს პროდუქტის შესაბამისობა ამ მოდულის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ტექნიკურ დოკუმენტაციასა და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან.

4. პროდუქტის საკონტროლო შემოწმება

მწარმოებლის შეხედულებისამებრ, პროდუქტის შემოწმება შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამისობის შემფასებელი პირის (მათ შორის, მწარმოებლის კუთვნილი) მიერ, იმავე ორგანოს მიერ განსაზღვრული შემთხვევითი ინტერვალებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროდუქტის შიდა კონტროლის ხარისხის შემოწმება ისე, რომ სხვა ასპექტებთან ერთად, მხედველობაში იქნეს მიღებული პროდუქტის ტექნოლოგიური კომპლექსურობა და წარმოების მოცულობა. პროდუქტის ბაზარზე განთავსებამდე, უნდა მოხდეს შესაბამისობის შემფასებელი პირის მიერ წარმოების ადგილზე აღებული მზა პროდუქტის ადეკვატური ნიმუშის შემოწმება და იმ სათანადო გამოცდების განხორციელება, რომლებიც დადგენილია შესაბამისი სტანდარტის ან/და ტექნიკური მახასიათებლების შესაბამის ნაწილში, ან მათი ეკვივალენტური გამოცდების ჩატარება ტექნიკური რეგლამენტების სათანადო მოთხოვნებთან პროდუქტის შესაბამისობის შესამოწმებლად.

პროდუქტის შესაბამისობის დასადგენად განხორციელებული ნიმუშების შემთხვევითი კონტროლის პროცედურა გამიზნულია იმისათვის, რომ განისაზღვროს ხორციელდებოდა თუ არა წარმოების პროცესი დასაშვებ ფარგლებში პროდუქტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

შესაბამისობის შემფასებელი პირის მიერ გამოცდების განხორციელების შემთხვევაში, მწარმოებელმა, შესაბამისობის შემფასებელი პირის პასუხისმგებლობის ქვეშ, პროდუქტზე უნდა დაიტანოს მისი აკრედიტაციის მოწმობის ნომერი.

5. შესაბამისობის ნიშანდება და შესაბამისობის დეკლარაცია

5.1 მწარმოებელმა, პროდუქტზე უნდა დაიტანოს შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი სავალდებულო შესაბამისობის ნიშანდება.

5.2 მწარმოებელმა უნდა შეადგინოს შესაბამისობის დეკლარაცია პროდუქტის მოდელისათვის და უნდა უზრუნველყოს მისი შენახვა ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში, შესაბამისი ორგანოებისთვის წარსადგენად. შესაბამისობის დეკლარაციაში ზუსტად უნდა განისაზღვროს პროდუქტი, რომლისთვისაც ეს დეკლარაცია შეიქმნა.

შესაბამისობის დეკლარაციის ასლი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი ორგანოებისათვის მათი მოთხოვნის შემთხვევაში.

6. უფლებამოსილი წარმომადგენელი

ამ მოდულის მე-5 პუნქტით განსაზღვრული მწარმოებლის ვალდებულებები, შესაძლებელია შესრულდეს მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მისი სახელით და მისივე პასუხისმგებლობით, იმ პირობით თუ ეს განსაზღვრულია შესაბამისი ხელშეკრულებით.

მოდული B

პროდუქტის ნიმუშის (ტიპის) შესაბამისობის შეფასება

1. პროდუქტის ნიმუშის (ტიპის) შესაბამისობის შეფასება წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურას, რომლის საშუალებითაც შესაბამისობის შემფასებელი პირი იკვლევს პროდუქტის ტექნიკურ პროექტს და ადასტურებს, რომ იგი აკმაყოფილებს აღნიშნული პროდუქტისთვის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. პროდუქტის ნიმუშის (ტიპის) შესაბამისობის შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი გზით:

- წარმოებიდან აღებული მზა პროდუქტის ნიმუშის გამოკვლევის საშუალებით (საწარმო ტიპი);

- პროდუქტის ტექნიკური პროექტის შესაბამისობა შეფასება ტექნიკური დოკუმენტაციის, ამ მოდულის მე-3 პუნქტით განსაზღვრული დამადასტურებელი მონაცემების შემოწმების და წარმოებიდან აღებული მზა პროდუქტის ნიმუშის გამოკვლევის (საწარმო ტიპი და საპროექტო ტიპის კომბინაცია) საშუალებით;

- პროდუქტის ტექნიკური პროექტის შესაბამისობის შეფასება ტექნიკური დოკუმენტაციის, ამ მოდულის მე-3 პუნქტით განსაზღვრული დამადასტურებელი მონაცემების შემოწმების საშუალებით, ნიმუშის გამოკვლევის გარეშე (საპროექტო ტიპი).

3. მწარმოებელმა, ნიმუშის (ტიპის) შესაბამისობის შეფასებისათვის, განაცხადით უნდა მიმართოს მის მიერ შერჩეულ, მხოლოდ ერთ შესაბამისობის შემფასებელ პირს.

განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მწარმოებლის ვინაობა და მისამართი და იმ შემთხვევაში თუ განაცხადი წარმოდგენილია უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, ამ უკანასკნელის ვინაობა და მისამართიც;

- განცხადება იმის თაობაზე, რომ იგივე განაცხადით არ მიუმართავთ სხვა შესაბამისობის შემფასებელი პირისთვის;

- ტექნიკური დოკუმენტაცია. ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა იძლეოდეს პროდუქტის შესაბამისობის შეფასების საშუალებას სათანადო მოთხოვნებთან და უნდა შეიცავდეს რისკ(ებ)ის ადეკვატურ ანალიზსა და შეფასებას. ტექნიკური დოკუმენტაციით ზუსტად განისაზღვრება სათანადო მოთხოვნები და მოიცავს, რამდენადაც ეს შეფასებისთვის იქნება აუცილებელი, ინფორმაციას პროდუქტის ტექნიკური პროექტის, წარმოების და ექსპლუატაციის შესახებ. ტექნიკური დოკუმენტაცია, საჭიროებისამებრ, სულ მცირე უნდა შეიცავდეს, შემდეგ ელემენტებს:

- პროდუქტის საერთო აღწერილობას;

- კონცეპტუალურ პროექტს, ტექნოლოგიურ ნახაზებსა და კომპონენტების, ქვესისტემების და სხვა სქემებს;

- აღნიშნული ნახაზების, სქემების და პროდუქტის ექსპლუატაციისთვის აუცილებელ აღწერილობას და განმარტებებს;

- ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისი სტანდარტების ან/და სხვა რელევანტური ტექნიკური მახასიათებლების ჩამონათვალს, რომელიც გამოიყენება სრულად ან ნაწილობრივ, ასევე აღწერილობას ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების ძირითადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მიღებულ გადაწყვეტილებებს, როცა არ იყო გამოყენებული შესაბამისი სტანდარტები. შესაბამისი სტანდარტების ნაწილობრივი გამოყენების შემთხვევაში, ტექნიკურმა დოკუმენტაციამ ზუსტად უნდა განსაზღვროს სტანდარტის ის ნაწილები, რომელიც იქნა გამოყენებული;

- საწარმოო ნიმუშის გაანგარიშების, ჩატარებული ცდებისა და სხვა შედეგებს;

- გამოცდების ანგარიშებს;

- განსახილველი წარმოებიდან აღებული ნიმუშები. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა შესაძლებელია მოითხოვოს დამატებითი ნიმუშები, თუ ეს საჭირო გახდება გამოცდების პროგრამის განსახორციელებლად;

- ტექნიკურ პროექტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების დამადასტურებელი მონაცემები. აღნიშნული მონაცემები უნდა მოიცავდეს ყველა გამოყენებულ დოკუმენტს, განსაკუთრებით იმ დოკუმენტებს, რომელიც ადასტურებს, რომ სათანადო შესაბამისი სტანდარტები ან/და ტექნიკური მახასიათებლები სრულად არ იქნა გამოყენებული. დამატებითი ცნობები უნდა მოიცავდეს, საჭიროებისამებრ, მწარმოებლის სათანადო ლაბორატორიაში, ან მისი პასუხისმგებლობით სხვა ლაბორატორიაში ჩატარებული ცდების შედეგებს.

4. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა

პროდუქტისთვის:

4.1. უნდა შეამოწმოს ტექნიკური დოკუმენტაცია და სხვა დამადასტურებელი მონაცემები პროდუქტის ტექნიკური პროექტის შესაბამისობის შესაფასებლად;

ნიმუშ(ებ)ისთვის:

4.2. უნდა შეამოწმოს, რომ ნიმუშ(ებ)ი წარმოებულ იქნა ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად და ის წარმოაჩენს იმ ელემენტებს, რომლებიც შემუშავებული იქნა სათანადო შესაბამისი სტანდარტებისა ან/და ტექნიკური მახასიათებლების შესაბამისად, ასევე, იმ ელემენტებსაც, რომლებიც არ შემუშავებულა აღნიშნული სტანდარტების შესაბამისად.

4.3. უნდა ჩაატაროს, ან ჩაატარებინოს სათანადო ცდები და გამოცდა, რათა შემოწმდეს, მწარმოებლის მიერ რამდენად სწორად იქნა გამოყენებული გადაწყვეტილებები შესაბამისი სტანდარტების ან/და ტექნიკური მახასიათებლების თანახმად, თუკი მწარმოებელმა მათი გამოყენება განიზრახა;

4.4. უნდა ჩაატაროს, ან ჩაატარებინოს სათანადო ცდები და გამოცდა, რათა შემოწმდეს, მწარმოებლის მიერ რამდენად სწორად იქნა გამოყენებული გადაწყვეტილებები, რომლებიც მას არ მიუღია შესაბამისი სტანდარტების ან/და ტექნიკური მახასიათებლების თანახმად და პასუხობენ თუ არა მწარმოებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის ძირითად მოთხოვნებს;

4.5. უნდა შეათანხმოს მწარმოებელთან შემოწმებისა და გამოცდების განხორციელების ადგილი.

5. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეადგინოს შეფასების ანგარიში, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ამ მოდულის მე-4 პუნქტის თანახმად განხორციელებული საქმიანობების და მათი შედეგების დოკუმენტირებული მონაცემები. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა მწარმოებლის თანხმობის საფუძველზე, სრულად, ან ნაწილობრივ უნდა გამოაქვეყნოს ანგარიშის შინაარსი ისე, რომ შესაბამისი ულებამოსილი ორგანოს წინაშე საკუთარი ვალდებულებების შესრულებას არ მიადგეს ზიანი .

6. როცა პროდუქტის ტიპი პასუხობს ამ პროდუქტისთვის განსაზღვრული კონკრეტული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს, შესაბამისობის შემფასებელმა პირმა მწარმოებლისთვის უნდა გასცეს პროდუქტის ტიპის სერტიფიკატი. სერტიფიკატი უნდა შეიცავდეს მწარმოებლის ვინაობასა და მისამართს, გამოცდების დასკვნებს, პირობებს (თუკი ასეთი არსებობს) მათი ვალიდურობისათვის და საჭირო მონაცემებს დამტკიცებული ტიპის იდენტიფიკაციისათვის. სერტიფიკატს შესაძლოა გააჩნდეს ერთი, ან მეტი დანართი.

სერტიფიკატი და მისი დანართები უნდა მოიცავდეს ყველა საჭირო ინფორმაციას, რომელიც იძლევა წამოებული პროდუქტისა და საცდელი ტიპის შესაბამისობის შეფასების საშუალებას და ექსპლუატაციის პროცესში მისი კონტროლის შესაძლებლობას.

როცა პროდუქტის ტიპი არ პასუხობს შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს, შესაბამისობის შემფასებელმა პირმა მწარმოებელს უარი უნდა უთხრას პროდუქტის ტიპის სერტიფიკატის გაცემაზე და შესაბამისად, წერილობით უნდა აცნობოს მას უარის მიზეზები.

7. შესაბამისობის შემფასებელი პირი უნდა ფლობდეს ინფორმაციას არსებული ტექნიკური განვითარების დონესთან დაკავშირებული ყველა სახის ცვლილებების შესახებ, რის მიხედვითაც მოწონებული ტიპი აღარ დააკმაყოფილებს შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს და მან უნდა გადაწყვიტოს, საჭიროებს თუ არა აღნიშნული ცვლილებები შემდგომ კვლევას. მსგავს შემთხვევაში, მწარმოებელი, აღნიშნულის თაობაზე ინფორმირებული უნდა იყოს შესაბამისობის შემფასებელი პირის მიერ.

დამტკიცებული ტიპის ყველა მოდიფიკაციის შესახებ, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს პროდუქტის ტექნიკური რეგლამენტის ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ან სერტიფიკატის პირობების ვალიდურობაზე, მწარმოებელმა უნდა აცნობოს იმ შესაბამისობის შემფასებელ პირს, რომელიც ფლობს ტიპის სერტიფიკატთან დაკავშირებულ ტექნიკურ დოკუმენტაციას. ასეთ მოდიფიკაციებს ესაჭიროებათ დამატებითი დამტკიცება, რასაც უნდა ჰქონდეს ადრე გაცემული პროდუქტის ტიპის სერტიფიკატის დამატების ფორმა.

8. თოთოეულმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეატყობინოს საკუთარი უფლებამოსილების მიმნიჭებელ ორგანოს მის მიერ გაცემული, ან გაუქმებული ტიპის სერტიფიკატების ან/და მათი ნებისმიერი დამატების შესახებ და პერიოდულად, ან მოთხოვნისამებრ, მისი უფლებამოსილების გამცემი ორგანოსთვის ხელმისაწვდომი უნდა გახადოს იმ სერტიფიკატებისა ან/და დამატებების სია, რომლის გაცემაზე მან უარი თქვა, ან დროებით შეაჩერა, ან სხვა სახით შეზღუდა.

თითოეულმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეატყობინოს იმავე სფეროში მოქმედ სხვა შესაბამისობის შემფასებელ პირებს ტიპის სერტიფიკატების ან/და მათი ნებისმიერი დამატებ(ებ)ის შესახებ, რომლის გაცემაზე მან უარი თქვა, ან დროებით შეაჩერა, ან სხვა შეზღუდვები დააწესა, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში, მის მიერ გაცემული სერტიფიკატების ან/და დამატებების შესახებ.

იმავე სფეროში მოქმედ სხვა შესაბამისობის შემფასებელ პირებს შეუძლიათ, მოთხოვნის საფუძველზე, მოიპოვონ ტიპის სერტიფიკატების ან/და მათი ნებისმიერი დამატებების ასლები. მოთხოვნის შემთხვევაში, იმავე სფეროში მოქმედ სხვა შესაბამისობის შემფასებელ პირებს შეუძლიათ მოიპოვონ ტექნიკური დოკუმენტაციისა და შესაბამისობის შემფასებელი პირების მიერ განხორციელებული შეფასების შედეგების ასლები. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა, სერტიფიკატის ვალიდურობის ვადის გასვლამდე, უნდა იქონიოს პროდუქტის ტიპის სერტიფიკატის, მისი დანართების და დამატებების ასლები, ასევე, ტექნიკური დოკუმენტაცია, მწარმოებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ჩათვლით.

9. მწარმოებელმა უნდა უზრუნველყოს პროდუქტის ტიპის სერტიფიკატის, მისი დანართების და დამატებების ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად შენახვა, პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში და წარუდგინოს შესაბამის ორგანოებს მათი მოთხოვნის შემთხვევაში.

10. მწარმოებლის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა განაცხადი უნდა წარადგინოს ამ მოდულის მე-3 პუნქტის შესაბამისად და შეასრულოს ამ მოდულის მე-7 და მე-9 პუნქტებში მითითებული ვალდებულებები იმ პირობით, თუ ისინი განსაზღვრულია შესაბამისი ხელშეკრულებით.

მოდული C

პროდუქტის ტიპთან შესაბამისობა დაფუძნებული შიდა საწარმოო კონტროლზე

1. წარმოების შიდა კონტროლზე დამყარებული პროდუქტის ტიპთან შესაბამისობა, წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურის ნაწილს, რომლის საშუალებითაც მწარმოებელი ასრულებს ამ მოდულის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრულ ვალდებულებებს და უზრუნველყოფს და იღებს პასუხისმგებლობას, რომ პროდუქტი შეესაბამება პროდუქტის ტიპის სერტიფიკატში აღწერილ ტიპს და აკმაყოფილებს შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

2. წარმოება

მწარმოებელმა უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა წარმოების პროცესი და მისი მონიტორინგი უზრუნველყოფდეს წარმოებული პროდუქტის შესაბამისობას პროდუქტის ტიპის სერტიფიკატში აღწერილ პროდუქტის დამტკიცებულ ტიპთან და ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან.

3. შესაბამისობის ნიშანდება და შესაბამისობის დეკლარაცია

3.1 მწარმოებელმა, თითოეულ პროდუქტზე უნდა დაიტანოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისობის ნიშანდება, რომელიც შესაბამისობაშია პროდუქტის ტიპის სერტიფიკატში აღწერილი პროდუქტის დამტკიცებულ ტიპთან და აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

3.2. მწარმოებელმა უნდა შეადგინოს შესაბამისობის დეკლარაცია პროდუქტის მოდელისთვის და უნდა უზრუნველყოს მისი შენახვა პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში. შესაბამისობის დეკლარაციაში ზუსტად უნდა განისაზღვროს პროდუქტის მოდელი, რომლისთვისაც ეს დეკლარაცია შეიქმნა.

შესაბამისობის დეკლარაციის ასლი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი ორგანოებისთვის, მათი მოთხოვნის შემთხვევაში.

4. უფლებამოსილი წარმომადგენელი

ამ მოდულის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მწარმოებლის ვალდებულებები, შესაძლებელია შესრულდეს მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მისი სახელით და მისივე პასუხისმგებლობით, იმ პირობით თუ ეს განსაზღვრულია შესაბამისი ხელშეკრულებით.

მოდული C1

პროდუქტის ტიპთან შესაბამისობა დაფუძნებული შიდა საწარმოო კონტროლსა და პროდუქტის საკონტროლო შემოწმების მონიტორინგზე

1. პროდუქტის ტიპთან შესაბამისობის განსაზღვრა, შიდა საწარმოო კონტროლის და პროდუქტის საკონტროლო შემოწმების მონიტორინგის საშუალებით, წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურის ნაწილს, რომლის საშუალებითაც მწარმოებელი ასრულებს ამ მოდულის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ ვალდებულებებს და უზრუნველყოფს და იღებს პასუხისმგებლობას, რომ პროდუქტი შეესაბამება პროდუქტის ტიპის სერტიფიკატში აღწერილ ტიპს და აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ მოთხოვნებს.

2. წარმოება

მწარმოებელმა უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა წარმოების პროცესმა და მისმა მონიტორინგმა უზრუნველყოს წარმოებული პროდუქტის შესაბამისობა ტიპის სერტიფიკატში აღწერილი პროდუქტის დამტკიცებულ ტიპთან და აკმაყოფილებდეს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

3. პროდუქტის საკონტროლო შემოწმება

თითოეული წარმოებული პროდუქტისათვის, მწარმოებელმა უნდა განახორციელოს, ან თავისი სახელით განახორციელებინოს პროდუქტის ერთი, ან მეტი სპეციფიკური ასპექტის ერთი, ან მეტი გამოცდა, რათა შეა-მოწმოს პროდუქტის შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტის სათანადო მოთხოვნებთან. მწარმოებლის შეხედულებისამებრ, გამოცდა შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამისობის შემფასებელი პირის (მათ შორის, მწარმოებლის კუთვნილი) პასუხისმგებლობის ქვეშ.

შესაბამისობის შემფასებელი პირის მიერ გამოცდების განხორციელების შემთხვევაში, მწარმოებელმა შესაბამისობის შემფასებელი პირის პასუხისმგებლობის ქვეშ უნდა დაიტანოს მისი აკრედიტაციის მოწმობის ნომერი/ კანონით განსაზღვრული ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერი საწარმოო პროცესის დროს.

4. შესაბამისობის ნიშანდება და შესაბამისობის დეკლარაცია

4.1. მწარმოებელმა, თითოეულ პროდუქტზე უნდა დაიტანოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისობის ნიშანდება, რომელიც შესაბამისობაშია პროდუქტის ტიპის სერტიფიკატში აღწერილი პროდუქტის დამტკიცებულ ტიპთან და აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის სათანადო მოთხოვნებს.

4.2. მწარმოებელმა უნდა შეადგინოს შესაბამისობის დეკლარაცია პროდუქტის მოდელისათვის და უნდა უზრუნველყოს მისი შენახვა, პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში. შესაბამისობის დეკლარაციაში ზუსტად უნდა განისაზღვროს პროდუქტის მოდელი, რომლისთვისაც ეს დეკლარაცია შეიქმნა.

შესაბამისობის დეკლარაციის ასლი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი ორგანოებისათვის, მათი მოთხოვნის შემთხვევაში.

5. უფლებამოსილი წარმომადგენელი

ამ მოდულის მე-4 პუნქტით განსაზღვრული მწარმოებლის ვალდებულებები, შესაძლებელია შესრულდეს მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მისი სახელით და მისივე პასუხისმგებლობით, იმ პირობით თუ ეს განსაზღვრულია შესაბამისი ხელშეკრულებით.

მოდული C2

პროდუქტის ტიპთან შესაბამისობა დაფუძნებული შიდა საწარმოო კონტროლსა და შემთხვევითი ინტერვალებით პროდუქტის საკონტროლო შემოწმებაზე

1. პროდუქტის ტიპთან შესაბამისობის დადგენა შიდა საწარმოო კონტროლის და პროდუქტის დროის ინტერვალების შემთხვევითი შერჩევით საკონტროლო შემოწმების გზით, წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურის ნაწილს, რომლის საშუალებითაც მწარმოებელი ასრულებს ამ მოდულის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ ვალდებულებებს და უზრუნველყოფს და იღებს პასუხისმგებლობას, რომ პროდუქტი შეესაბამება პროდუქტის ტიპის სერტიფიკატში აღწერილ ტიპს და აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. წარმოება

მწარმოებელმა უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა წარმოების პროცესმა და მისმა მონიტორინგმა უზრუნველყოს წარმოებული პროდუქტის შესაბამისობა პროდუქტის ტიპის სერტიფიკატში აღწერილი პროდუქტის დამტკიცებულ ტიპთან და აკმაყოფილებდეს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

3. პროდუქტის საკონტროლო შემოწმება

მწარმოებლის შეხედულებისამებრ, პროდუქტის შემოწმება შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამისობის შემფასებელი პირის (მათ შორის, მწარმოებლის კუთვნილი) მიერ, იმავე ორგანოს მიერ განსაზღვრული შემთხვევითი ინტერვალებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროდუქტის შიდა კონტროლის ხარისხის შემოწმება ისე, რომ სხვა ასპექტებთან ერთად, მხედველობაში იქნეს მიღებული პროდუქტის ტექნოლოგიური კომპლექსურობა და წარმოების მოცულობა. პროდუქტის ბაზარზე განთავსებამდე, უნდა მოხდეს შესაბამისობის შემფასებელი პირის მიერ წარმოების ადგილზე აღებული მზა პროდუქტის ადეკვატური ნიმუშის შემოწმება და იმ სათანადო გამოცდების განხორციელება, რომლებიც დადგენილია შესაბამისი სტანდარტის ან/და ტექნიკური მახასიათებლების შესაბამის ნაწილში, ან მათი ეკვივალენტური გამოცდების ჩატარება ტექნიკური რეგლამენტის სათანადო მოთხოვნებთან პროდუქტის შესაბამისობის შესამოწმებლად. იმ შემთხვევაში, თუ ნიმუში არ შეესაბამება ხარისხის მისაღებ დონეს, შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა მიიღოს სათანადო ზომები.

პროდუქტის ნიმუშების შერჩევის პროცედურა გამიზნულია იმისთვის, რომ პროდუქტის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განისაზღვროს, ხორციელდებოდა თუ არა წარმოების პროცესი დასაშვებ ფარგლებში.

შესაბამისობის შემფასებელი პირის მიერ გამოცდების განხორციელების შემთხვევაში, მწარმოებელმა, შესაბამისობის შემფასებელი პირის პასუხისმგებლობის ქვეშ, უნდა დაიტანოს მისი აკრედიტაციის მოწმობის ნომერი/კანონით განსაზღვრული ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერი საწარმოო პროცესის დროს.

4. შესაბამისობის ნიშანდება და შესაბამისობის დეკლარაცია

4.1. მწარმოებელმა, თითოეულ პროდუქტზე უნდა დაიტანოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისობის ნიშანდება, რომელიც შეესაბამება პროდუქტის ტიპის სერტიფიკატში აღწერილი პროდუქტის ტიპს და აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს.

4.2. მწარმოებელმა უნდა შეადგინოს შესაბამისობის დეკლარაცია პროდუქტის მოდელისათვის და უზრუნველყოს მისი შენახვა პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში. შესაბამისობის დეკლარაციაში ზუსტად უნდა განისაზღვროს პროდუქტის მოდელი, რომლისთვისაც ეს დეკლარაცია შედგა.

შესაბამისობის დეკლარაციის ასლი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი ორგანოებისათვის, მათი მოთხოვნის შემთხვევაში.

5. უფლებამოსილი წარმომადგენელი

ამ მოდულის მე-4 პუნქტით განსაზღვრული მწარმოებლის ვალდებულებები, შესაძლებელია შესრულდეს მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მისი სახელით და მისივე პასუხისმგებლობით, იმ პირობით თუ ეს განსაზღვრულია შესაბამისი ხელშეკრულებით.

მოდული D

ტიპთან შესაბამისობა დაფუძნებული წარმოების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფაზე

1. ტიპთან შესაბამისობის განსაზღვრა წარმოების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის საფუძველზე, წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურის ნაწილს, რომლის საშუალებითაც მწარმოებელი ასრულებს ამ მოდულის მე-2 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრულ ვალდებულებებს და უზრუნველყოფს და იღებს პასუხისმგებლობას, რომ პროდუქტი შეესაბამება პროდუქტის ტიპის სერტიფიკატში აღწერილ ტიპს და აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. წარმოება

მწარმოებელმა წარმოებისთვის უნდა გამოიყენოს დამტკიცებული ხარისხის სისტემა, განახორციელოს მზა პროდუქტის ხარისხის კონტროლი და მისი გამოცდა ამ მოდულის მე-3 პუნქტის შესაბამისად და უნდა დაუქვემდებაროს იგი ზედამხედველობას, ამ მოდულის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

3. ხარისხის სისტემა

3.1. მწარმოებელმა, პროდუქტთან დაკავშირებული ხარისხის სისტემის შესაფასებლად, განაცხადით უნდა მიმართოს მის მიერ შერჩეულ სათანადო შესაბამისობის შემფასებელ პირს.

განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მწარმოებლის ვინაობა და მისამართი და უფლებამოსილი წარმომადგენელის ვინაობა და მისამართი, თუ განაცხადი გაკეთებულია ამ უკანასკნელის მიერ;

- წერილობითი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მსგავსი განაცხადით არ მიუმართავთ სხვა შესაბამისობის შემფასებელი პირისთვის;

- ყველა საჭირო ინფორმაცია განსახილველი პროდუქტის კატეგორიის შესახებ;

- ხარისხის სისტემასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;

- ტექნიკური დოკუმენტაცია პროდუქტის დამტკიცებულ ტიპთან დაკავშირებით და პროდუქტის ტიპის სერტიფიკატის ასლი.

3.2. ხარისხის სისტემამ უნდა უზრუნველყოს, რომ პროდუქტი შეესაბამებოდეს პროდუქტის ტიპის სერტიფიკატში აღწერილ ტიპს და აკმაყოფილებდეს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

მწარმოებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება თითოეული კომპონენტის, მოთხოვნისა და პირობის შესახებ, უნდა იქნეს დოკუმენტირებული სისტემატურად და თანმიმდევრულად, პროცედურების და ინსტრუქციების სახით. ხარისხის სისტემის დოკუმენტაცია უნდა იძლეოდეს ხარისხის პროგრამების, გეგმების, სახელმძღვანელოებისა და დოკუმენტების უწყვეტი ინტერპრეტაციის საშუალებას.

კერძოდ, ის უნდა მოიცავდეს შემდეგ აღწერილობას:

- ხარისხის მიზნებს, საორგანიზაციო სტრუქტურას და უფლებამოსილებებს პროდუქტის ხარისხის მართვის

კუთხით;

- წარმოების, ხარისხის კონტროლისა და ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამის მეთოდებს, პროცესებს და სისტემატურ ქმედებებს;

- წარმოების დაწყებამდე, წარმოების განმავლობაში და მისი დასრულების შემდგომი ექსპერტიზას და გამოცდებს და მათი განხორციელების სიხშირეს;

- ხარისხის დოკუმენტებს, ინსპექტირების შედეგებს და გამოცდების მონაცემებს, პერსონალის კვალიფიკაციის ამსახველ ანგარიშებს და სხვა;

- პროდუქტის სავალდებულო ხარისხის მიღწევის და ხარისხის სისტემის ეფექტური ფუნქციონირების მონიტორინგის საშუალებებს.

3.3. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეაფასოს პასუხობს თუ არა ხარისხის სისტემა ამ მოდულის 3.2 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ხარისხის სისტემის კომპონენტების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს იმ მოთხოვნებთან შესაბამისობას, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისი სტანდარტის ან/და ტექნიკური სპეციფიკაციის განხორციელებას.

ხარისხის მართვის სისტემებში გამოცდილების გარდა, აუდიტის ჯგუფში უნდა იყოს ერთი წევრი მაინც, რომელსაც ექნება სათანადო პროდუქტის სფეროს შეფასებისა და განსახილველი პროდუქტის დამზადების ტექნოლოგიის გამოცდილება და შესაბამისი კანონმდებლობის სათანადო ცოდნა. აუდიტი უნდა მოიცავდეს მწარმოებლის საწარმოო ნაგებობის ადგილზე შეფასებას. აუდიტის ჯგუფმა უნდა განიხილოს ამ მოდულის 3.1 პუნქტის მეხუთე აბზაცით განსაზღვრული დოკუმენტაცია, რათა შემოწმდეს მწარმოებლის მიერ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების იდენტიფიცირების უნარი და ჩატარდეს აუცილებელი ექსპერტიზა აღნიშნულ მოთხოვნებთან პროდუქტის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

გადაწყვეტილების შესახებ უნდა ეცნობოს მწარმოებელს. შეტყობინება უნდა შეიცავდეს აუდიტის დასკვნებს და შეფასების დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

3.4. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა დამტკიცებული ხარისხის სისტემიდან გამომდინარე ვალდებულებების შეასრულებაზე და ხარისხის ადეკვატურობის და ეფექტურობის შენარჩუნებაზე.

3.5. მწარმოებელმა უნდა უზრუნველყოს ხარისხის სისტემაში შესატანი ნებისმიერი ცვლილების შესახებ იმ შესაბამისობის შემფასებელი პირის ინფორმირება, რომელმაც დაამტკიცა აღნიშნული სისტემა.

შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეაფასოს ყველა შეთავაზებული ცვლილება და გადაწყვიტოს, დარჩება თუ არა მოდიფიცირებული ხარისხის სისტემა ამ მოდულის 3.2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი, თუ საჭირო გახდება ხელახალი შეფასების განხორციელება.

შესაბამისობის შემფასებელმა პირმა მწარმოებელს უნდა აცნობოს მიღებული გადაწყვეტილება. შეტყობინება უნდა მოიცავდეს ჩატარებული გამოცდის დასკვნებსა და შეფასების დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

4. ზედამხედველობის განხორციელება შესაბამისობის შემფასებელი პირის პასუხისმგებლობის ქვეშ

4.1. ზედამხედველობის მიზანია მწარმოებლის მიერ, დამტკიცებული ხარისხის სისტემიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების გარანტირება.

4.2. შესაბამისობის შეფასების მიზნებიდან გამომდინარე, მწარმოებელმა შესაბამისობის შემფასებელი პირისთვის უნდა უზრუნველყოს წარმოების, ინსპექტირების, გამოცდებისა და პროდუქტის საწყობების მისაწვდომობა და მისთვის ყველა აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება. კერძოდ:

- ხარისხის სისტემის დოკუმენტაცია;

- ხარისხის დოკუმენტების, მათ შორის, ინსპექტირების ანგარიშები, გამოცდების მონაცემები, სათანადო პერსონალის კვალიფიკაციის ანგარიშები და სხვა.

4.3. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა ჩაატაროს პერიოდული აუდიტი იმის შესამოწმებლად, რომ მწარმოებელი უზრუნველყოფს ხარისხის სისტემის ფუნქციონირებას და მწარმოებელს უნდა წარუდგინოს აღნიშნული აუდიტის ანგარიში.

4.4. ზემოაღნიშნულთან ერთად, შესაბამისობის შემფასებელი პირი შესაძლებელია ადგილზე, მოულოდნელად ეწვიოს მწარმოებელს შესამოწმებლად, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს მწარმოებელსა და შესაბამისობის შემფასებელ პირს შორის დადებულ ხელშეკრულებაში. ამგვარი ვიზიტის დროს შესაბამისობის შემფასებელი პირი, საჭიროებისამებრ, თავად ატარებს ან ატარებინებს პროდუქტის გამოცდას, რათა დარწმუნდეს ხარისხის სისტემის სწორ ფუნქციონირებაში. შესაბამისობის შემფასებელი პირი მწარმოებელს წარუდგენს შემოწმების ანგარიშს და გამოცდების შემთხვევაში, გამოცდის ანგარიშს.

5. შესაბამისობის ნიშანდება და შესაბამისობის დეკლარაცია

5.1. მწარმოებელმა უნდა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისობის ნიშანდება და ამ მოდულის 3.1. პუნქტით განსაზღვრული შესაბამისობის შემფასებელი პირის პასუხისმგებ-ლობის ქვეშ, უნდა დაიტანოს მისი აკრედიტაციის მოწმობის ნომერი/კანონით განსაზღვრული ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერი თითოეულ პროდუქტზე, რომელიც შეესაბამება პროდუქტის ტიპის სერტიფი-კატში აღწერილი პროდუქტის ტიპს და აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

5.2. მწარმოებელმა უნდა შეადგინოს შესაბამისობის დეკლარაცია თითოეული პროდუქტის მოდელისათვის და უზრუნველყოს მისი შენახვა პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში. შესაბამისობის დეკლარაციაში ზუსტად უნდა განისაზღვროს პროდუქტის მოდელი, რომლისთვისაც ეს დეკლარაცია შედგა.

შესაბამისობის დეკლარაციის ასლი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი ორგანოებისთვის, მათი მოთხოვნის შემთხვევაში.

6. მწარმოებელმა, პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან, სულ მცირე, 10 წლის განმავლობაში უნდა შეინახოს და მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შესაბამის ორგანოებს შემდეგი:

- ამ მოდულის 3.1 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია;

- ამ მოდულის 3.5 პუნქტით განსაზღვრული ცვლილებები, მათი დამტკიცების შესაბამისად;

- ამ მოდულის 3.5, 4.3 და 4.4 პუნქტებით განსაზღვრული შესაბამისობის შემფასებელი პირის გადაწყვეტილებები და ანგარიშები.

7. თითოეულმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა მოახდინოს მასზე უფლებამოსილების გამცემი ორგანოს ინფორმირება მათ მიერ ხარისხის სისტემის დამტკიცებაზე უარის თქმის, შეჩერების, გაუქმების, ან სხვა სახის შეზღუდვების შესახებ და მოთხოვნის შემთხვევაში, მის მიერ დამტკიცებული ხარისხის სისტემის შესახებ.

თითოეულმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეატყობინოს სხვა შესაბამისობის შემფასებელ პირებს ხარისხის სისტემის დამტკიცებაზე უარის თქმის, შეჩერების, გაუქმების, ან სხვა სახის შეზღუდვების შესახებ და მოთხოვნის შემთხვევაში, მის მიერ დამტკიცებული ხარისხის სისტემის შესახებ.

8. უფლებამოსილი წარმომადგენელი

ამ მოდულის 3.1, 3.5, 5 და მე- 6 პუნქტებით განსაზღვრული მწარმოებლის ვალდებულებები შესაძლებელია შესრულდეს მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მისი სახელით და მისივე პასუხისმგებლობით, იმ პირობით თუ ეს განსაზღვრულია შესაბამისი ხელშეკრულებით.

მოდული D1

წარმოების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა

1. წარმოების ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურის ნაწილს, რომლის საშუალებითაც მწარმოებელი ასრულებს ამ მოდულის მე-2, მე-4 და მე-7 პუნქტებით განსაზღვრულ ვალდებულებებს და უზრუნველყოფს და იღებს სრულ პასუხისმგებლობას, რომ პროდუქტი აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

მწარმოებელმა უნდა შექმნას ტექნიკური დოკუმენტაცია. დოკუმენტაცია უნდა იძლეოდეს პროდუქტის შესაბამისობის შეფასების საშუალებას სათანადო მოთხოვნებთან და უნდა შეიცავდეს რისკ(ებ)ის ადეკვატურ ანალიზსა და შეფასებას. ტექნიკური დოკუმენტაციით ზუსტად განისაზღვრება სათანადო მოთხოვნები და იგი მოიცავს, რამდენადაც ეს შეფასებისთვის იქნება აუცილებელი, ინფორმაციას პროდუქტის საწარმოო ნიმუშის, წარმოების და ექსპლუატაციის შესახებ. ტექნიკური დოკუმენტაცია, საჭიროებისამებრ, უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ ელემენტებს:

- პროდუქტის საერთო აღწერილობას;

- კონცეპტუალურ პროექტს, ტექნოლოგიურ ნახაზებს და კომპონენტების, ქვესისტემებს და სხვა სქემებს;

- აღნიშნული ნახაზების, სქემების და პროდუქტის ექსპლუატაციისთვის აუცილებელ აღწერილობას და განმარტებებს;

- ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისი სტანდარტების ან/და სხვა შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლების ჩამონათვალს, რომელიც გამოიყენება სრულად ან ნაწილობრივ, ასევე, აღწერილობას ტექნიკური რეგლამენტების ძირითადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მიღებული გადაწყვეტილებებისა მაშინ, როცა არ იყო გამოყენებული შესაბამისი სტანდარტები. შესაბამისი სტანდარტების ნაწილობრივი გამოყენების შემთხვევაში, ტექნიკურმა დოკუმენტაციამ ზუსტად უნდა განსაზღვროს სტანდარტის ის ნაწილები, რომელიც იქნა გამოყენებული;

- საწარმოო ნიმუშის გაანგარიშების, ჩატარებული ცდებისა და სხვა შედეგებს;

- გამოცდების ანგარიშებს.

3. მწარმოებელმა უნდა უზრუნველყოს ტექნიკური დოკუმენტაციის შენახვა პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში და მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს შესაბამის ორგანოებს.

4. წარმოება

მწარმოებელმა წარმოებისთვის უნდა გამოიყენოს ამ მოდულის მე-5 პუნქტის შესაბამისად დამტკიცებული ხარისხის სისტემა, განახორციელოს მზა პროდუქტის ხარისხის კონტროლი და მისი გამოცდა და დაუქვემდებაროს იგი ამ მოდულის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ ზედამხედველობას.

5. ხარისხის სისტემა

5.1. მწარმოებელმა, პროდუქტთან დაკავშირებული ხარისხის სისტემის შესაფასებლად, განაცხადით უნდა მიმართოს მის მიერ შერჩეულ შესაბამისობის შემფასებელ პირს.

განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მწარმოებლის ვინაობა და მისამართი, უფლებამოსილი წარმომადგენელის ვინაობა და მისამართი, თუ განაცხადი წარდგენილია ამ უკანასკნელის მიერ;

- წერილობითი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მსგავსი განაცხადით არ მიუმართავს სხვა შესაბამისობის შემფასებელი პირისთვის;

- ყველა საჭირო ინფორმაცია პროდუქტის კატეგორიის შესახებ;

- ხარისხის სისტემასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;

- ამ მოდულის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ტექნიკური დოკუმენტაცია.

5.2. ხარისხის სისტემამ უნდა უზრუნველყოს პროდუქტის შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან.

მწარმოებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ნებისმიერი კომპონენტის, მოთხოვნის და პირობის შესახებ, უნდა იქნეს დოკუმენტირებული სისტემატურად და თანმიმდევრულად, პროცედურებისა და

ინსტრუქციების სახით. ხარისხის სისტემის დოკუმენტაცია უნდა იძლეოდეს ხარისხის პროგრამების, გეგმების, სახელმძღვანელოებისა და დოკუმენტების უწყვეტი ინტერპრეტაციის საშუალებას.

კერძოდ, ის უნდა მოიცავდეს შემდეგ აღწერილობას:

- ხარისხის მიზნებს, საორგანიზაციო სტრუქტურას და მართვის პასუხისმგებლობებსა და უფლებამოსილებებს, პროდუქტის ხარისხის კუთხით;

- წარმოების, ხარისხის კონტროლისა და ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამის მეთოდებს, პროცესებს და სისტემატურად განხორციელებულ საქმიანობებს;

- წარმოების დაწყებამდე, წარმოების განმავლობაში და მისი დასრულების შემდგომ ექსპერტიზას და გამოცდებს და მათი განხორციელების სიხშირეს;

- ხარისხის დოკუმენტებს, მათ შორის, ინსპექტირების შედეგებს და გამოცდების მონაცემებს, დაკალიბრების მონაცემებს, პერსონალის კვალიფიკაციის ამსახველ ანგარიშებს და სხვა;

- პროდუქტის სავალდებულო ხარისხის მიღწევის და ხარისხის სისტემის ეფექტური ფუნქციონირების მონიტორინგის საშუალებებს.

5.3. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეაფასოს პასუხობს თუ არა ხარისხის სისტემა ამ მოდულის 5.2 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ხარისხის სისტემის კომპონენტების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს იმ მოთხოვნებთან შესაბამისობას, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისი სტანდარტის ან/და ტექნიკური სპეცი-ფიკაციის განხორციელებას.

ხარისხის მართვის სისტემებში გამოცდილების გარდა, აუდიტის ჯგუფში უნდა იყოს ერთი წევრი მაინც, რომელსაც ექნება სათანადო პროდუქტის სფეროს შეფასებისა და განსახილველი პროდუქტის დამზადების ტექნოლოგიის გამოცდილება და შესაბამისი კანონმდებლობის სათანადო ცოდნა. აუდიტი უნდა მოიცავდეს მწარმოებლის საწარმოო ნაგებობის ადგილზე შეფასებას. აუდიტის ჯგუფმა უნდა განიხილოს ამ მოდულის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია, რათა შემოწმდეს მწარმოებლის მიერ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების იდენტიფიცირების უნარი და ჩატარდეს აუცილებელი ექსპერტიზა აღნიშნულ მოთხოვნებთან პროდუქტის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

გადაწყვეტილების შესახებ უნდა ეცნობოს მწარმოებელს. შეტყობინება უნდა შეიცავდეს აუდიტის დასკვნებს და შეფასების დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

5.4. მწარმოებელმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა დამტკიცებული ხარისხის სიტემიდან გამომდინარე ვალდებულებების შეასრულებაზე და ხარისხის ადეკვატურობისა და ეფექტურობის შენარჩუნებაზე.

5.5. მწარმოებელმა უნდა უზრუნველყოს ხარისხის სისტემაში შესატანი ნებისმიერი ცვლილების შესახებ იმ შესაბამისობის შემფასებელი პირის ინფორმირება, რომელმაც დაამტკიცა აღნიშნული სისტემა.

შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეაფასოს ყველა შეთავაზებული ცვლილება და გადაწყვიტოს, დარჩება თუ არა მოდიფიცირებული ხარისხის სისტემა ამ მოდულის 5.2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი, თუ საჭირო გახდება ხელახალი შეფასების განხორციელება.

შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეატყობინოს მწარმოებელს მიღებული გადაწყვეტილება. შეტყობინება უნდა მოიცავდეს ჩატარებული გამოცდის დასკვნებს და შეფასების დასაბუთებულ გადაწყვეტი-ლებას.

6. ზედამხედველობის განხორციელება შესაბამისობის შემფასებელი პირის პასუხისმგებლობის ქვეშ.

6.1. ზედამხედველობის მიზანია მწარმოებლის მიერ, დამტკიცებული ხარისხის სისტემიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების გარანტირება.

6.2. შესაბამისობის შეფასების მიზნებიდან გამომდინარე, მწარმოებელმა შესაბამისობის შემფასებელი პირისათვის უნდა უზრუნველყოს წარმოების, ინსპექტირების, გამოცდებისა და პროდუქტის საწყობების მისაწვდომობა და მისთვის ყველა აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება. კერძოდ:

- ხარისხის სისტემის დოკუმენტაცია;

- ამ მოდულის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ტექნიკური დოკუმენტაცია;

- ხარისხის დოკუმენტები, მათ შორის, ინსპექტირების ანგარიშები, გამოცდების მონაცემები, დაკალიბრების მონაცემები, სათანადო პერსონალის კვალიფიკაციის ანგარიშები და სხვა.

6.3. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა ჩაატაროს პერიოდული აუდიტი იმის შესამოწმებლად, რომ მწარმოებელი უზრუნველყოფს ხარისხის სისტემის ფუნქციონირებას და წარუდგინოს მწარმოებელს აუდიტის ანგარიში.

6.4. ზემოაღნიშნულთან ერთად, შესაბამისობის შემფასებელი პირი შესაძლებელია ადგილზე, მოულოდნელად ეწვიოს მწარმოებელს შესამოწმებლად, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს მწარმოებელსა და შესაბამისობის შემფასებელ პირს შორის დადებულ ხელშეკრულებაში. ამგვარი ვიზიტის დროს შესაბამისობის შემფასებელი პირი საჭიროებისამებრ, თავად ჩაატარებს ან ატარებინებს პროდუქტის გამოცდას, რათა დარწმუნდეს ხარისხის სისტემის სწორ ფუნქციონირებაში. შესაბამისობის შემფასებელი პირი მწარმოებელს წარუდგენს შემოწმების ანგარიშს და გამოცდების შემთხვევაში, გამოცდის ანგარიშს.

7. შესაბამისობის ნიშანდება და შესაბამისობის დეკლარაცია

7.1. მწარმოებელმა, უნდა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისობის ნიშანდება და ამ მოდულის 5.1 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისობის შემფასებელი პირის პასუხის-მგებლობის ქვეშ, უნდა დაიტანოს მისი აკრედიტაციის მოწმობის ნომერი/კანონით განსაზღვრული ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერი თითოეულ პროდუქტზე, რომელიც აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

7.2. მწარმოებელმა უნდა შეადგინოს შესაბამისობის დეკლარაცია თითოეული პროდუქტის მოდელისთვის და უზრუნველყოს მისი შენახვა პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში. შესაბამისობის დეკლარაციაში ზუსტად უნდა განისაზღვროს პროდუქტის მოდელი, რომლისთვისაც ეს დეკლარაცია შედგა.

შესაბამისობის დეკლარაციის ასლი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი ორგანოებისთვის, მათი მოთხოვნის შემთხვევაში.

8. მწარმოებელმა, პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს შენახვა და მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამის ორგანოებს წარუდგინოს შემდეგი:

- ამ მოდულის 5.1 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია;

- ამ მოდულის 5.5 პუნქტით განსაზღვრული ცვლილებები;

- ამ მოდულის 5.5, 6.3. და 6.4 პუნქტებით განსაზღვრული შესაბამისობის შემფასებელი პირის გადაწყვეტილებები და ანგარიშები.

9. თითოეულმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა მოახდინოს მასზე უფლებამოსილების გამცემი ორგანოს ინფორმირება მათ მიერ დამტკიცებული, ან გაუქმებული ხარისხის სისტემის შესახებ და პერიოდულად, ან მოთხოვნისამებრ, წარუდგინოს მასზე უფლებამოსილების გამცემ ორგანოს მის მიერ უარყოფილი, შეჩერებული, ან სხვა სახით შეზღუდული ხარისხის სისტემების სია.

თითოეულმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეატყობინოს სხვა აკრედიტებულ ორგანოებს ხარისხის სისტემის დამტკიცებაზე უარის თქმის, შეჩერების, გაუქმების, ან სხვა სახის შეზღუდვების შესახებ და მოთხოვნის შემთხვევაში, მის მიერ დამტკიცებული ხარისხის სისტემის შესახებ.

10. უფლებამოსილი წარმომადგენელი

ამ მოდულის მე-3, 5.1, 5.5, მე-7 და მე-8 პუნქტებით განსაზღვრული მწარმოებლის ვალდებულებები, შესაძლებელია შესრულდეს მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მისი სახელით და მისივე პასუხი-სმგებლობით, იმ პირობით თუ ეს განსაზღვრულია შესაბამისი ხელშეკრულებით.

მოდული E

ტიპთან შესაბამისობა დაფუძნებული პროდუქტის ხარისხის უზრუნველყოფაზე

1. პროდუქტის ტიპთან შესაბამისობის განსაზღვრა წარმოების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის საფუძველზე, წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურის ნაწილს, რომლის საშუალებითაც მწარმოებელი ასრულებს ამ მოდულის მე-2 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრულ ვალდებულებებს და უზრუნველყოფს და იღებს სრულ პასუხისმგებლობას, რომ პროდუქტი შეესაბამება პროდუქტის ტიპის სერტიფიკატში აღწერილ ტიპს და აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. წარმოება

მწარმოებელმა წარმოებისთვის უნდა გამოიყენოს ამ მოდულის მე-3 პუნქტის შესაბამისად დამტკიცებული ხარისხის სისტემა, განახორციელოს მზა პროდუქტის ინსპექტირება და განსახილველი პროდუქტის გამოცდა, და დაუქვემდებაროს იგი ზედამხედველობის კონტროლს, ამ მოდულის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

3. ხარისხის სისტემა

3.1. მწარმოებელმა, პროდუქტთან დაკავშირებული ხარისხის სისტემის შესაფასებლად, განაცხადით უნდა მიმართოს მის მიერ შერჩეულ შესაბამისობის შემფასებელ პირს.

განაცხადი ინდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მწარმოებლის ვინაობა და მისამართი, უფლებამოსილი წარმომადგენლის ვინაობა და მისამართი, თუ განაცხადი გაკეთებულია ამ უკანასკნელის მიერ;

- წერილობითი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მსგავსი განაცხადით არ მიუმართავს სხვა შესაბამისობის შემფასებელი ორგანოსთვის;

- ყველა საჭირო ინფორმაცია პროდუქტის კატეგორიის შესახებ;

- ხარისხის სისტემასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;

- ტექნიკური დოკუმენტაცია პროდუქტის დამტკიცებულ ტიპთან დაკავშირებით და პროდუქტის ტიპის სერტიფიკატის ასლი.

3.2 ხარისხის სისტემამ უნდა უზრუნველყოს პროდუქტის შესაბამისობა პროდუქტის ტიპის სერტიფიკატში აღწერილ ტიპთან და დააკმაყოფილოს ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები.

მწარმოებლის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ხარისხის ელემენტების, მოთხოვნების და პირობების შესახებ, უნდა იქნეს დოკუმენტირებული სისტემატურად და თანმიმდევრულად, პროცედურებისა და ინსტრუქციების სახით. ხარისხის სისტემის დოკუმენტაცია უნდა იძლეოდეს ხარისხის პროგრამების, გეგმების, სახელმძღვანელოებისა და დოკუმენტების უწყვეტი ინტერპრეტაციის საშუალებას.

კერძოდ, ის უნდა მოიცავდეს შემდეგ აღწერილობას:

- ხარისხის მიზნებს და საორგანიზაციო სტრუქტურას და მართვის პასუხისმგებლობებსა და უფლებამოსილებებს პროდუქტის ხარისხის კუთხით;

- წარმოების დასრულების შემდეგ განხორციელებულ ექსპერტიზასა და გამოცდას;

- ხარისხის დოკუმენტებს, მათ შორის, ანგარიშებს და გამოცდების მონაცემებს, დაკალიბრების მონაცემებს, პერსონალის კვალიფიკაციის ამსახველ ანგარიშებს და სხვა;

- ხარისხის სისტემის ეფექტური ფუნქციონირების მონიტორინგის საშუალებებს.

3.3. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეაფასოს, პასუხობს თუ არა ხარისხის სისტემა ამ მოდულის 3.2 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ხარისხის სისტემის კომპონენტების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს იმ მოთხოვნებთან შესაბამისობას, რომელიც ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისი სტანდარტის ან/და ტექნიკური სპეციფიკაციის განხორ-

ციელებას უზრუნველყოფს.

ხარისხის მართვის სისტემებში გამოცდილების გარდა, აუდიტის ჯგუფში უნდა იყოს ერთი წევრი მაინც, რომელსაც ექნება სათანადო პროდუქტის სფეროს შეფასებისა და განსახილველი პროდუქტის დამზადების ტექნოლოგიის გამოცდილება და შესაბამისი კანონმდებლობის სათანადო ცოდნა. აუდიტი უნდა მოიცავდეს მწარმოებლის საწარმოო ნაგებობის ადგილზე შეფასებას. აუდიტის ჯგუფმა უნდა განიხილოს ამ მოდულის 3.1 პუნქტის მეხუთე აბზაცით განსაზღვრული დოკუმენტაცია, რათა შემოწმდეს მწარმოებლის მიერ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების იდენტიფიცირების უნარი და ჩატარდეს აუცილებელი ექსპერტიზა აღნიშნულ მოთხოვნებთან პროდუქტის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

გადაწყვეტილების შესახებ უნდა ეცნობოს მწარმოებელს. შეტყობინება უნდა შეიცავდეს აუდიტის დასკვნებს და შეფასების დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

3.4. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა დამტკიცებული ხარისხის სიტემიდან გამომდინარე ვალდებულებების შეასრულებაზე და ხარისხის ადეკვატურობისა და ეფექტურობის შენარჩუნებაზე.

3.5. მწარმოებელმა უნდა უზრუნველყოს ხარისხის სისტემაში შესატანი ნებისმიერი ცვლილების შესახებ იმ შესაბამისობის შემფასებელი პირის ინფორმირება, რომელმაც დაამტკიცა აღნიშნული სისტემა.

შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეაფასოს ყველა შეთავაზებული ცვლილება და გადაწყვიტოს, დარჩება თუ არა მოდიფიცირებული ხარისხის სისტემა ამ მოდულის 3.2 პუნქტით განსაზღვრული მოთ-ხოვნების შესაბამისი, თუ საჭირო გახდება ხელახალი შეფასების განხორციელება.

შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეატყობინოს მწარმოებელს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. შეტყობინება უნდა მოიცავდეს ჩატარებული გამოცდის დასკვნებს და შეფასების დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

4. ზედამხედველობის განხორციელება შესაბამისობის შემფასებელი პირის პასუხისმგებლობის ქვეშ

4.1. ზედამხედველობის მიზანია მწარმოებლის მიერ, დამტკიცებული ხარისხის სისტემიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების გარანტირება.

4.2. შესაბამისობის შეფასების მიზნებიდან გამომდინარე, მწარმოებელმა შესაბამისობის შემფასებელი პირისთვის უნდა უზრუნველყოს წარმოების, ინსპექტირების, გამოცდებისა და პროდუქტის საწყობების მისაწვდომობა და მისთვის ყველა აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება, კერძოდ:

- ხარისხის სისტემის დოკუმენტაციის;

- ხარისხის დოკუმენტების, მათ შორის, ინსპექტირების ანგარიშების და გამოცდების მონაცემების, დაკალიბრების მონაცემების, სათანადო პერსონალის კვალიფიკაციის ანგარიშების და სხვა.

4.3. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა ჩაატაროს პერიოდული აუდიტი იმის შესამოწმებლად, რომ მწარმოებელი უზრუნველყოფს ხარისხის სისტემის ფუნქციონირებას და წარუდგინოს მწარმოებელს აუდიტის ანგარიში.

4.4. ზემოაღნიშნულთან ერთად, შესაბამისობის შემფასებელი პირი შესაძლებელია ადგილზე მოულოდნელად ეწვიოს მწარმოებელს შესამოწმებლად, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს მწარმოებელსა და შესაბამისობის შემფასებელ პირს შორის დადებულ ხელშეკრულებაში. ამგვარი ვიზიტის დროს შესაბამისობის შემფასებელი პირი საჭიროებისამებრ, თავად ჩაატარებს, ან ატარებინებს პროდუქტის გამოცდას, რათა დარწმუნდეს ხარისხის სისტემის სწორ ფუნქციონირებაში. შესაბამისობის შემფასებელი პირი მწარმოებელს წარუდგენს შემოწმების ანგარიშს და გამოცდების შემთხვევაში, გამოცდის ანგარიშს.

5. შესაბამისობის ნიშანდება და შესაბამისობის დეკლარაცია

5.1. მწარმოებელმა უნდა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისობის ნიშანდება და ამ მოდულის 3.1 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისობის შემფასებელი პირის პასუხისმგებ-ლობის ქვეშ, უნდა დაიტანოს მისი აკრედიტაციის მოწმობის ნომერი/კანონით განსაზღვრული ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერი თითოეულ პროდუქტზე, რომელიც შეესაბამება პროდუქტის ტიპის სერტიფიკატ-ში აღწერილი პროდუქტის ტიპს და აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

5.2. მწარმოებელმა უნდა შეადგინოს შესაბამისობის დეკლარაცია თითოეული პროდუქტის მოდელისთვის და უზრუნველყოს მისი შენახვა პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში. შესაბამისობის დეკლარაციაში ზუსტად უნდა განისაზღვროს პროდუქტის მოდელი, რომლისთვისაც ეს დეკლარაცია შედგა.

შესაბამისობის დეკლარაციის ასლი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სახელმწიფო ორგანოებისთვის, მათი მოთხოვნის საფუძველზე.

6. მწარმოებელმა, პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს და მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამის ორგანოებს წარუდგინოს შემდეგი:

- ამ მოდულის 3.1 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია;

- ამ მოდულის 3.5 პუნქტით განსაზღვრული ცვლილებები;

- ამ მოდულის 3.5, 4.3 და 4.4 პუნქტებით განსაზღვრული შესაბამისობის შემფასებელი პირის გადაწყვეტილებები და ანგარიშები.

7. თითოეულმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა მოახდინოს მასზე უფლებამოსილების გამცემი ორგანოს ინფორმირება მათ მიერ დამტკიცებული, ან გაუქმებული ხარისხის სისტემის შესახებ და პერიო-დულად, ან მოთხოვნისამებრ, წარუდგინოს მასზე უფლებამოსილების გამცემ ორგანოს მის მიერ უარყოფილი, შეჩერებული, ან სხვა სახით შეზღუდული ხარისხის სისტემების სია.

თითოეულმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეატყობინოს იგივე სფეროში მოქმედ სხვა შესაბამისობის შემფასებელ პირებს ხარისხის სისტემის დამტკიცებაზე უარის თქმის, შეჩერების, გაუქმების, ან სხვა სახის შეზღუდვებისა და მოთხოვნის შემთხვევაში, მის მიერ დამტკიცებული ხარისხის სისტემის შესახებ.

8. უფლებამოსილი წარმომადგენელი

ამ მოდულის 3.1, 3.5, მე-5 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრული მწარმოებლის ვალდებულებები, შესაძლებელია შესრულდეს მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მისი სახელით და მისივე პასუხისმგებლობით, იმ პირობით თუ ეს განსაზღვრულია შესაბამისი ხელშეკრულებით.

მოდული E1

მზა პროდუქტის ინსპექტირების და გამოცდების ხარისხის უზრუნველყოფა

1. მზა პროდუქტის ინსპექტირებისა და გამოცდების ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურის ნაწილს, რომლის საშუალებითაც მწარმოებელი ასრულებს ამ მოდულის მე-2, მე-4 და მე-7 პუნქტებით განსაზღვრულ ვალდებულებებს და უზრუნველყოფს და იღებს სრულ პასუხისმგებლობას, რომ განხილული პროდუქტი აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

მწარმოებელმა უნდა შექმნას ტექნიკური დოკუმენტაცია. დოკუმენტაცია უნდა იძლეოდეს პროდუქტის შესაბამისობის შეფასების საშუალებას სათანადო მოთხოვნებთან და უნდა შეიცავდეს რისკ(ებ)ის ადეკვატურ ანალიზსა და შეფასებას. ტექნიკურ დოკუმენტაციაში ზუსტად განისაზღვრება სათანადო მოთხოვნები და იგი მოიცავს, რამდენადაც ეს შეფასებისთვის იქნება აუცილებელი, ინფორმაციას პროდუქტის საწარმოო ნიმუშების, წარმოებისა და ექსპლუატაციის შესახებ. ტექნიკური დოკუმენტაცია, საჭიროებისამებრ, უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ ელემენტებს:

- პროდუქტის საერთო აღწერილობას;

- კონცეპტუალურ პროექტს, ტექნოლოგიურ ნახაზებს და კომპონენტების, ქვესისტემებს და სხვა სქემებს;

- აღნიშნული ნახაზების, სქემების და პროდუქტის ექსპლუატაციისთვის აუცილებელ აღწერილობას და განმარტებებს;

- ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისი სტანდარტების ან/და სხვა შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლების ჩამონათვალს, რომელიც გამოიყენება სრულად ან ნაწილობრივ, ასევე, აღწერილობას ტექნიკური რეგლამენტების ძირითადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მიღებული გადაწყვეტილებებისა მაშინ, როცა არ იყო გამოყენებული შესაბამისი სტანდარტები. შესაბამისი სტანდარტების ნაწილობრივი გამოყენების შემთხვევაში, ტექნიკურმა დოკუმენტაციამ ზუსტად უნდა განსაზღვროს სტანდარტის ის ნაწილები, რომელიც იქნა გამოყენებული;

- საწარმოო ნიმუშების გაანგარიშების, ჩატარებული ცდებისა და სხვა შედეგებს;

- გამოცდების ანგარიშებს.

3. მწარმოებელმა, უნდა უზრუნველყოს ტექნიკური დოკუმენტაციის შენახვა პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში და მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს შესაბამის ორგანოებს.

4. წარმოება

მწარმოებელმა წარმოებისთვის უნდა გამოიყენოს ამ მოდულის მე-5 პუნქტის შესაბამისად დამტკიცებული ხარისხის სისტემა, განახორციელოს მზა პროდუქტის ხარისხის კონტროლი და მისი გამოცდა და დაუქ-ვემდებაროს იგი ამ მოდულის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ ზედამხედველობას.

5. ხარისხის სისტემა

5.1. მწარმოებელმა, პროდუქტთან დაკავშირებული ხარისხის სისტემის შესაფასებლად, განაცხადით უნდა მიმართოს მის მიერ შერჩეულ შესაბამისობის შემფასებელ პირს.

განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მწარმოებლის ვინაობა და მისამართი, უფლებამოსილი წარმომადგენელის ვინაობა და მისამართი, თუ განაცხადი წარდგენილია ამ უკანასკნელის მიერ;

- წერილობითი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მსგავსი განაცხადით არ მიუმართავს სხვა შესაბამისობის შემფასებელი პირისთვის;

- ყველა საჭირო ინფორმაცია პროდუქტის კატეგორიის შესახებ;

- ხარისხის სისტემასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;

- ამ მოდულის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ტექნიკური დოკუმენტაცია.

5.2. ხარისხის სისტემამ უნდა უზრუნველყოს პროდუქტის შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან.

მწარმოებლის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ხარისხის კომპონენტების, მოთხოვნებისა და პირობების შესახებ, უნდა იქნეს დოკუმენტირებული სისტემატურად და თანმიმდევრულად, პროცედუ-რებისა და ინსტრუქციების სახით. ხარისხის სისტემის დოკუმენტაცია უნდა იძლეოდეს ხარისხის პროგრამების, გეგმების, სახელმძღვანელოებისა და დოკუმენტების უწყვეტი ინტერპრეტაციის საშუალებას.

კერძოდ, ის უნდა მოიცავდეს შემდეგ აღწერილობას:

- ხარისხის მიზნებს და საორგანიზაციო სტრუქტურას და მართვის პასუხისმგებლობებსა და უფლებამოსილებებს პროდუქტის ხარისხის კუთხით;

- წარმოების დასრულების შემდგომ ექსპერტიზასა და გამოცდებს;

- ხარისხის დოკუმენტებს, როგორიცაა ინსპექტირების შედეგები და გამოცდების მონაცემები, დაკალიბრების მონაცემები, პერსონალის კვალიფიკაციის ამსახველი ანგარიშები და სხვა;

- ხარისხის სისტემის ეფექტური ფუნქციონირების მონიტორინგის საშუალებებს.

5.3. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეაფასოს, პასუხობს თუ არა ხარისხის სისტემა ამ მოდულის 5.2

პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ხარისხის სისტემის კომპონენტების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს იმ მოთხოვნებთან შესაბამისობას, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისი სტანდარტის ან/და ტექნიკური სპეციფიკაციის განხორციელებას.

ხარისხის მართვის სისტემებში გამოცდილების გარდა, აუდიტის ჯგუფში უნდა იყოს ერთი წევრი მაინც, რომელსაც ექნება სათანადო პროდუქტის სფეროს შეფასებისა და განსახილველი პროდუქტის დამზადების ტექნოლოგიის გამოცდილება და შესაბამისი კანონმდებლობის სათანადო ცოდნა. აუდიტი უნდა მოიცავდეს მწარმოებლის საწარმოო ნაგებობის ადგილზე შეფასებას. აუდიტის ჯგუფმა უნდა განიხილოს ამ მოდულის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია, რათა შემოწმდეს მწარმოებლის მიერ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების იდენტიფიცირების უნარი და ჩატარდეს აუცილებელი ექსპერტიზა აღნიშნულ მოთხოვნებთან პროდუქტის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

გადაწყვეტილების შესახებ უნდა ეცნობოს მწარმოებელს. შეტყობინება უნდა შეიცავდეს აუდიტის დასკვნებს და შეფასების დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

5.4. მწარმოებელმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა დამტკიცებული ხარისხის სისტემიდან გამომდინარე ვალდებულებების შეასრულებაზე და ხარისხის ადეკვატურობისა და ეფექტურობის შენარჩუნებაზე.

5.5. მწარმოებელმა უნდა უზრუნველყოს ხარისხის სისტემაში შესატანი ნებისმიერი ცვლილების შესახებ იმ შესაბამისობის შემფასებელი პირის ინფორმირება, რომელმაც დაამტკიცა აღნიშნული სისტემა.

შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეაფასოს ყველა შეთავაზებული ცვლილება და გადაწყვიტოს, დარჩება თუ არა მოდიფიცირებული ხარისხის სისტემა ამ მოდულის პუნქტი 5.2-ში აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისი, თუ საჭირო გახდება ხელახალი შეფასების განხორციელება.

შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეატყობინოს მწარმოებელს მიღებული გადაწყვეტილება. შეტყობინება უნდა მოიცავდეს ჩატარებული შემოწმების დასკვნებსა და შეფასების დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

6. ზედამხედველობის განხორციელება შესაბამისობის შემფასებელი პირის პასუხისმგებლობის ქვეშ.

6.1. ზედამხედველობის მიზანია მწარმოებლის მიერ, დამტკიცებული ხარისხის სისტემიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების გარანტირება.

6.2. შესაბამისობის შეფასების მიზნებიდან გამომდინარე, მწარმოებელმა შესაბამისობის შემფასებელი პირისათვის უნდა უზრუნველყოს წარმოების, ინსპექტირების, გამოცდებისა და პროდუქტის საწყობების მისაწვდომობა და მისთვის ყველა აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება. კერძოდ:

- ხარისხის სისტემის დოკუმენტაცია;

- ამ მოდულის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ტექნიკური დოკუმენტაცია;

- ხარისხის დოკუმენტები, მათ შორის, ინსპექტირების ანგარიშები და გამოცდების მონაცემები, დაკალიბრების მონაცემები, სათანადო პერსონალის კვალიფიკაციის ანგარიშები და სხვ.

6.3. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა ჩაატაროს პერიოდული აუდიტი იმის შესამოწმებლად, რომ მწარმოებელი უზრუნველყოფს ხარისხის სისტემის ფუნქციონირებას და წარუდგინოს მწარმოებელს აუდიტის ანგარიში.

6.4. ზემოაღნიშნულთან ერთად, შესაბამისობის შემფასებელი პირი შესაძლებელია ადგილზე, მოულოდნელად ეწვიოს მწარმოებელს შესამოწმებლად, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს მწარმოებელსა და შესაბამისობის შემფასებელ პირს შორის დადებულ ხელშეკრულებაში. ამგვარი ვიზიტის დროს შესაბამისობის შემფასებელი პირი საჭიროებისამებრ, თავად ჩაატარებს, ან ატარებინებს პროდუქტის გამოცდას, რათა დარწმუნდეს ხარისხის სისტემის სწორ ფუნქციონირებაში. შესაბამისობის შემფასებელი პირი მწარმოებელს წარუდგენს შემოწმების ანგარიშს და გამოცდების შემთხვევაში, გამოცდის ანგარიშს.

7. შესაბამისობის ნიშანდება და შესაბამისობის დეკლარაცია

7.1. მწარმოებელმა, უნდა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისობის ნიშანდება და ამ მოდულის 5.1 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისობის შემფასებელი პირის პასუხისმგებლობის ქვეშ, უნდა დაიტანოს მისი აკრედიტაციის მოწმობის ნომერი/კანონით განსაზღვრული ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერი თითოეულ პროდუქტზე, რომელიც აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

7.2. მწარმოებელმა უნდა შეადგინოს შესაბამისობის დეკლარაცია თითოეული პროდუქტის მოდელისთვის და უზრუნველყოს მისი შენახვა პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში. შესაბამისობის დეკლარაციაში ზუსტად უნდა განისაზღვროს პროდუქტის მოდელი, რომლისთვისაც ეს დეკლარაცია შედგა.

შესაბამისობის დეკლარაციის ასლი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სახელმწიფო ორგანოებისთვის მათი მოთხოვნის საფუძველზე.

8. მწარმოებელმა, პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს შენახვა და მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შესაბამის ორგანოებს შემდეგი:

- ამ მოდულის 5.1 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია;

- ამ მოდულის 5.5 პუნქტით განსაზღვრული ცვლილებები;

- ამ მოდულის 5.5, 6.3. და 6.4 პუნქტებით განსაზღვრული შემფასებელი პირის გადაწყვეტილებები და ანგარიშები.

9. თითოეულმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა მოახდინოს მასზე უფლებამოსილების გამცემი ორგანოს ინფორმირება მათ მიერ დამტკიცებული, ან გაუქმებული ხარისხის სისტემის შესახებ და პერიოდულად, ან მოთხოვნისამებრ, წარუდგინოს მასზე უფლებამოსილების გამცემ ორგანოს მის მიერ უარყოფილი, შეჩერებული, ან სხვა სახით შეზღუდული ხარისხის სისტემების სია.

თითოეულმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეატყობინოს სხვა აკრედიტებულ/უფლებამოსილ ორგანოებს ხარისხის სისტემაზე უარის თქმის, შეჩერების, გაუქმების, ან სხვა სახის შეზღუდვების შესახებ და მოთხოვნის შემთხვევაში, მის მიერ დამტკიცებული ხარისხის სისტემის შესახებ.

10. უფლებამოსილი წარმომადგენელი

ამ მოდულის მე-3, 5.1, 5.5, მე-7 და მე-8 პუნქტებით განსაზღვრული მწარმოებლის ვალდებულებები, შესაძლებელია შესრულდეს მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მისი სახელით და მისივე პასუხისმგებლობით, იმ პირობით თუ ეს განსაზღვრულია შესაბამისი ხელშეკრულებით.

მოდული F

ტიპთან შესაბამისობა დაფუძნებული პროდუქტის შემოწმებაზე

1. პროდუქტის ტიპთან შესაბამისობა პროდუქტის შემოწმებაზე დაყრდნობით წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურის ნაწილს, რომლის საშუალებითაც მწარმოებელი ასრულებს ამ მოდულის მე-2, 5.1 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრულ ვალდებულებებს და უზრუნველყოფს და იღებს პასუხისმგებლობას, რომ პროდუქტი შეესაბამება პროდუქტის ტიპის სერტიფიკატში აღწერილ ტიპს და აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. წარმოება

მწარმოებელმა უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა წარმოების პროცესითა და მონიტორინგის სისტემით უზრუნველყოფილ იქნეს წარმოებული პროდუქტის შესაბამისობა პროდუქტის ტიპის სერტიფიკატში აღწერილ დამტკიცებულ ტიპთან და მისთვის განსაზღვრულ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან.

3. შემოწმება

მწარმოებლის მიერ შერჩეულმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა განახორციელოს სათანადო ცდები და გამოცდები, რათა შემოწმდეს პროდუქტის შესაბამისობა პროდუქტის ტიპის სერტიფიკატში აღწერილ

დამტკიცებულ ტიპთან და მისთვის განსაზღვრულ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან.

სათანადო ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებელი ცდები და გამოცდები უნდა განხორციელდეს მწარმოებლის სურვილის მიხედვით, თითოეული პროდუქტის გამოცდით ამ მოდულის მე-4 პუნქტის თანახმად, ან სტატისტიკურ ბაზაზე პროდუქტის გამოცდით, ამ მოდულის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

4. თითოეული პროდუქტის შემოწმება შემოწმების და გამოცდების გზით.

4.1. თითოეული პროდუქტი უნდა შემოწმდეს ინდივიდუალურად, შესაბამის სტანდარტ(ებ)ში ან/და ტექნიკურ სპეციფიკაციებში განსაზღვრული სათანადო გამოცდებით, ან მათი ეკვივალენტური გამოცდების საშუალებით და ისინი უნდა განხორციელდეს მათი შესაბამისობის შესამოწმებლად პროდუქტის ტიპის სერტიფიკატში აღწერილ ტიპთან და ტექნიკური რეგლამენტის სათანადო მოთხოვნებთან. აღნიშნული შესაბამისი სტანდარტების გამოუყენებლობის შემთხვევაში, შესაბამისობის შემფასებელი პირი მიიღებს გადაწყვეტილებას სათანადო გამოცდების ჩატარების შესახებ.

4.2 შესაბამისობის შემფასებელი პირი გასცემს შესაბამისობის სერტიფიკატს ჩატარებული შემოწმებისა და გამოცდების საფუძველზე და დაიტანს საკუთარ აკრედიტაციის მოწმობის ნომერს/კანონით განსაზღვრული ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერს დამტკიცებულ პროდუქტზე, ან მისცემს მისი დატანის უფლებას საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ.

მწარმოებელმა, შემდგომი ინსპექტირებისთვის, უნდა იქონიოს შესაბამისობის სერტიფიკატები პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში და წარუდგინოს შესაბამის ორგანოებს მათი მოთხოვნის შემთხვევაში.

5. შესაბამისობის სტატისტიკური შემოწმება

5.1 მწარმოებელმა უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა წარმოების პროცესი და მისი მონიტორინგი უზრუნველყოფდეს პროდუქტის ყოველი პარტიის ერთგვაროვნებას და შესამოწმებლად უნდა წარმოადგინოს საკუთარი პროდუქტი ერთგვაროვანი პარტიების სახით.

5.2 თითოეული პარტიიდან უნდა იქნეს აღებული შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული ნიმუში ტექნიკური რეგლამენტის თანახმად. თითოეული ნიმუშის პროდუქტი უნდა შემოწმდეს ინდივიდუალურად, შესაბამის სტანდარტ(ებ)ში ან/და ტექნიკურ სპეციფიკაციებში განსაზღვრული სათანადო გამოცდებით, ან მათი ეკვივალენტური გამოცდების საშუალებით და ისინი უნდა განხორციელდეს მათი ტექნიკური რეგლამენტის სათანადო მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად და ასევე, გადაწყვეტილების მისაღებად, პროდუქტის პარტიის მისაღებობის შესახებ. აღნიშნული შესაბამისი სტანდარტების გამოუყენებლობის შემთხვევაში, შესაბამისობის შემფასებელი პირი მიიღებს გადაწყვეტილებას სათანადო გამოცდების ჩატარების შესახებ.

5.3 პარტიის მიღების შემთხვევაში, ნიმუშის პარტიაში შემავალი მთელი პროდუქტი ჩაითვლება მოწონებულად, გარდა იმ პროდუქტისა, რომელიც შედიოდა იმ ნიმუშში, რომელიც გამოცდების შედეგად ჩაითვალა არადამაკმაყოფილებლად.

შესაბამისობის შემფასებელი პირი გასცემს შესაბამისობის სერტიფიკატს ჩატარებული შემოწმებისა და გამოცდების საფუძველზე და დაიტანს მისი აკრედიტაციის მოწმობის ნომერს/კანონით განსაზღვრული ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერს დამტკიცებულ პროდუქტზე, ან მისცემს მისი დატანის უფლებას საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ.

მწარმოებელმა უნდა შეინახოს შესაბამისობის სერტიფიკატები პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში და წარუდგინოს ისინი შესაბამის ორგანოებს მათი მოთხოვნის შემთხვევაში.

5.4 იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტის პარტია არ იქნება მოწონებული, შესაბამისობის შემფასებელმა პირმა, ან კანონით განსაზღვრულმა ორგანომ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა მისი ბაზარზე არ დასაშვებად. პარტიების ხშირი დაწუნების შემთხვევაში, შესაბამისობის შემფასებელმა პირმა შესაძლოა შეწყვიტოს სტატისტიკური შემოწმება და მიმართოს სათანადო ზომებს.

6. შესაბამისობის ნიშანდება და შესაბამისობის დეკლარაცია

6.1.მწარმოებელმა, უნდა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისობის

ნიშანდება და ამ დანართის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისობის შემფასებელი პირის პასუხისმგებლობის ქვეშ, უნდა დაიტანოს შესაბამისობის შემფასებელი პირის აკრედიტაციის მოწმობის ნომერი კანონით განსაზღვრული ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერი თითოეულ პროდუქტზე, რომელიც შესაბამისობაშია პროდუქტის ტიპის სერტიფიკატში აღწერილი პროდუქტის დამტკიცებულ ტიპთან და აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

6.2. მწარმოებელმა უნდა შეადგინოს შესაბამისობის დეკლარაცია თითოეული პროდუქტის მოდელისთვის და უზრუნველყოს მისი შენახვა პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში. შესაბამისობის დეკლარაციაში ზუსტად უნდა განისაზღვროს პროდუქტის მოდელი, რომლისთვისაც ეს დეკლარაცია შედგა.

შესაბამისობის დეკლარაციის ასლი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი ორგანოებისათვის მათი მოთხოვნის შემთხვევაში.

ამ მოდულის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისობის შემფასებელი პირის თანხმობითა და პასუხისმგებლობით, მწარმოებელს შეუძლია, პროდუქტზე დაიტანოს ამ შესაბამისობის შემფასებელი პირის აკრედიტაციის მოწმობის ნომერიც/კანონით განსაზღვრული ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერიც.

7. შესაბამისობის შემფასებელი პირის თანხმობითა და პასუხისმგებლობით, მწარმოებელს შეუძლია პროდუქტზე დაიტანოს ამ შესაბამისობის შემფასებელი პირის აკრედიტაციის მოწმობის ნომერიც/ კანონით განსაზღვრული ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერიც წარმოების პროცესში.

8. უფლებამოსილი წარმომადგენელი

მწარმოებლის ვალდებულებები შესაძლებელია შესრულდეს მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მისი სახელით და მისივე პასუხისმგებლობით, იმ პირობით ეს განსაზღვრულია შესაბამისი ხელშეკრულებით. უფლებამოსილ წარმომადგენელს შეუძლია არ შეასრულოს ამ მოდულის მე-2 და 5.1 პუნქტებში მოცემული ვალდებულებები.

მოდული F1

შესაბამისობა დაფუძნებული პროდუქტის შემოწმებაზე

1. პროდუქტის შემოწმებაზე დაფუძნებული შესაბამისობა წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურას, რომლის საშუალებითაც მწარმოებელი ასრულებს ამ მოდულის მე-2, მე-3, 6.1 და მე-7 პუნქტებით განსაზღვრულ ვალდებულებებს და უზრუნველყოფს და იღებს სრულ პასუხისმგებლობას, რომ პროდუქტი, რომელიც ექვემდებარება ამ მოდულის მე-4 პუნქტის პირობებს, აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

მწარმოებელმა უნდა შექმნას ტექნიკური დოკუმენტაცია. დოკუმენტაცია უნდა იძლეოდეს პროდუქტის შესაბამისობის შეფასების საშუალებას სათანადო მოთხოვნებთან და უნდა შეიცავდეს რისკ(ებ)ის ადეკვატურ ანალიზსა და შეფასებას. ტექნიკური დოკუმენტაციით ზუსტად განისაზღვრება სათანადო მოთხოვნები და იგი მოიცავს, რამდენადაც ეს შეფასებისთვის იქნება აუცილებელი, ინფორმაციას პროდუქტის საწარმოო ნიმუშის, წარმოებისა და ექსპლუატაციის შესახებ. ტექნიკური დოკუმენტაცია, საჭიროებისამებრ, უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ ელემენტებს:

- პროდუქტის საერთო აღწერილობას;

- კონცეპტუალურ პროექტს, ტექნოლოგიურ ნახაზებს და კომპონენტების, ქვესისტემების და სხვა სქემებს;

- აღნიშნული ნახაზების, სქემების და პროდუქტის ექსპლუატაციისთვის აუცილებელ აღწერილობას და განმარტებებს;

- ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისი სტანდარტების ან/და სხვა შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლების ჩამონათვალს, რომელიც გამოიყენება სრულად ან ნაწილობრივ, ასევე, აღწერილობას ტექნიკური რეგლამენტების ძირითადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მიღებული გადაწყვეტილებებისა იმ შემთხვევაში, როცა არ იყო გამოყენებული შესაბამისი სტანდარტები. შესაბამისი სტანდარტების ნაწილობრივი გამოყენების შემთხვევაში, ტექნიკურმა დოკუმენტაციამ ზუსტად უნდა განსაზღვროს სტანდარტის ის ნაწილები, რომელიც გამოყენებულ იქნა;

- პროექტების გაანგარიშების, ჩატარებული ცდებისა და სხვა შედეგებს;

- გამოცდების ანგარიშებს.

მწარმოებელმა უნდა უზრუნველყოს ტექნიკური დოკუმენტაციის შენახვა პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში და მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს ის შესაბამის ორგანოებს.

3. წარმოება

მწარმოებელმა უნდა მიიღოს ყველა ზომა, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ წარმოების პროცესითა და მონიტორინგით უზრუნველყოფილი იყოს წარმოებული პროდუქტის შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან.

4. შემოწმება

მწარმოებლის მიერ შერჩეულმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა განახორციელოს სათანადო ცდები და გამოცდები, რათა შემოწმდეს პროდუქტის შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

სათანადო ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებელი ცდები და გამოცდები უნდა განხორციელდეს მწარმოებლის სურვილის მიხედვით, თითოეული პროდუქტის გამოცდით ამ მოდულის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ან ამ მოდულის მე-6 პუნქტით განსაზღვრული სტატისტიკურ ბაზაზე პროდუქტის გამოცდით.

5. თითოეული პროდუქტის შემოწმება შემოწმებისა და გამოცდების გზით

5.1. თითოეული პროდუქტი, მისი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, უნდა შემოწმდეს ინდივიდუალურად, შესაბამის სტანდარტ(ებ)ში და/ან ტექნიკურ სპეციფიკაციებში განსაზღვრული სათანადო გამოცდებით, ან მათი ეკვივალენტური გამოცდების საშუალებით. აღნიშნული შესაბამისი სტანდარტების გამოუყენებლობის შემთხვევაში, შესაბამისობის შემფასებელი პირი მიიღებს გადაწყვეტილებას სათანადო გამოცდების შერჩევის შესახებ.

5.2 შესაბამისობის შემფასებელი პირი გასცემს შესაბამისობის სერტიფიკატს ჩატარებული შემოწმებისა და გამოცდების საფუძველზე და დაიტანს საკუთარ აკრედიტაციის მოწმობის ნომერს/კანონით განსაზღვრული ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერს დამტკიცებულ პროდუქტზე, ან მისცემს მისი დატანის უფლებას საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ.

მწარმოებელმა, შემდგომი ინსპექტირებისათვის, უნდა იქონიოს შესაბამისობის სერტიფიკატები პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში და წარუდგინოს სახელმწიფო ორგანოებს მათი მოთხოვნის შემთხვევაში.

6. შესაბამისობის სტატისტიკური შემოწმება

6.1. მწარმოებელმა უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა წარმოების პროცესი და მისი მონიტორინგი უზრუნველყოფდეს პროდუქტის ყოველი პარტიის ერთგვაროვნებას და ამასთან, მწარმოებელმა, შესამოწმებლად, საკუთარი პროდუქტი უნდა წარმოადგინოს ერთგვაროვანი პარტიების სახით.

6.2. თითოეული პარტიიდან უნდა იქნეს აღებული შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული ნიმუში ტექნიკური რეგლამენტის თანახმად. ნიმუშის თითოეული პროდუქტი უნდა შემოწმდეს ინდივიდუალურად, შესაბამის სტანდარტ(ებ)ში და/ან ტექნიკურ სპეციფიკაციებში განსაზღვრული სათანადო გამოცდებით, ან მათი ეკვივალენტური გამოცდების საშუალებით და ისინი უნდა განხორციელდეს მათი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად და ასევე, იმის გადასაწყვეტად, მისაღებია თუ არა პარტია. აღნიშნული შესაბამისი სტანდარტების გამოუყენებლობის შემთხვევაში, შესაბამისობის შემფასე-ბელი პირი მიიღებს გადაწყვეტილებას სათანადო გამოცდების ჩატარების შესახებ.

6.3. პარტიის მიღების შემთხვევაში, ნიმუშის პარტიაში შემავალი მთელი პროდუქტი ჩაითვლება მოწონებულად, გარდა იმ პროდუქტისა, რომელიც შედიოდა იმ ნიმუშში, რომელიც გამოცდების შედეგად ჩაითვალა არადამაკმაყოფილებლად.

შესაბამისობის შემფასებელი პირი გასცემს შესაბამისობის სერტიფიკატს განხორციელებული შემოწმებისა და გამოცდების საფუძველზე და უზრუნველყოფს საკუთარი აკრედიტაციის მოწმობის ნომრის/საიდენტიფიკაციო ნომერის დატანას თითოეულ დამტკიცებულ პროდუქტზე, ან მისცემს მისი დატანის უფლებას საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ.

მწარმოებელმა უნდა შეინახოს შესაბამისობის სერტიფიკატები პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში და წარუდგინოს შესაბამის ორგანოებს მათი მოთხოვნის შემთხვევაში.

იმ შემთხვევაში, თუ პარტია დაწუნებულ იქნა, შესაბამისობის შემფასებელმა პირმა, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები მისი ბაზარზე არ დასაშვებად. პარტიების ხშირი დაწუნების შემთხვევაში, შესაბამისობის შემფასებელმა პირმა შესაძლოა შეწყვიტოს სტატისტიკური შემოწმება და მიმართოს სათანადო ზომებს.

7. შესაბამისობის ნიშანდება და შესაბამისობის დეკლარაცია

7.1. მწარმოებელმა, უნდა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისობის ნიშანდება და ამ მოდულის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისობის შემფასებელი პირის პასუხისმგებლობით და უნდა დაიტანოს ამ უკანასკნელის აკრედიტაციის მოწმობის ნომერი/კანონით განსაზღვრული ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერი თითოეულ პროდუქტზე, რომელიც აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის სათანადო მოთხოვნებს.

7.2. მწარმოებელმა უნდა შეადგინოს შესაბამისობის დეკლარაცია თითოეული პროდუქტის მოდელისთვის და უზრუნველყოს მისი შენახვა პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში და მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს ის შესაბამის ორგანოებს. შესაბამისობის დეკლარაციაში ზუსტად უნდა განისაზღვროს პროდუქტის მოდელი, რომლისთვისაც ეს დეკლარაცია შედგა.

შესაბამისობის დეკლარაციის ასლი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სახელმწიფო ორგანოებისათვის, მათი მოთხოვნის შემთხვევაში.

ამ მოდულის მე-5 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისობის შემფასებელი პირის თანხმობითა და პასუხისმგებლობით, მწარმოებელს შეუძლია პროდუქტზე დაიტანოს ამ შესაბამისობის შემფასებელი პირის აკრედიტაციის მოწმობის ნომერი/კანონით განსაზღვრული ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერი.

8. შესაბამისობის შემფასებელი პირის თანხმობითა და პასუხისმგებლობით, მწარმოებელს შეუძლია პროდუქტზე დაიტანოს ამ შესაბამისობის შემფასებელი პირის აკრედიტაციის მოწმობის ნომერიც/ კანონით განსაზღვრული ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერიც წარმოების პროცესში.

9. უფლებამოსილი წარმომადგენელი

მწარმოებლის ვალდებულებები შესაძლებელია შესრულდეს მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მისი სახელით და მისივე პასუხისმგებლობით, იმ პირობით ეს განსაზღვრულია შესაბამისი ხელშეკრულებით. უფლებამოსილ წარმომადგენელს შეუძლია არ შეასრულოს ამ მოდულის მე-3 და 6.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებები.

მოდული G

შესაბამისობა დაფუძნებული ცალკეული ნაკეთობის შემოწმებაზე

1. ცალკეული ნაკეთობის შესაბამისობის განსაზღვრა შემოწმების საფუძველზე, წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურას, რომლის საშუალებითაც მწარმოებელი ასრულებს ამ მოდულის მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრულ ვალდებულებებს და უზრუნველყოფს და იღებს სრულ პასუხისმგებლობას, რომ პროდუქტი, რომელიც ექვემდებარება ამ მოდულის მე-4 პუნქტის დებულებებს, აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

მწარმოებელმა უნდა შექმნას ტექნიკური დოკუმენტაცია და ხელმისაწვდომი უნდა გახადოს იგი ამ მოდულის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისობის შემფასებელი პირისათვის. დოკუმენტაცია უნდა იძლეოდეს პროდუქტის შესაბამისობის შეფასების საშუალებას სათანადო მოთხოვნებთან და უნდა შეიცავდეს რისკ(ებ)ის ადეკვატურ ანალიზსა და შეფასებას. ტექნიკურმა დოკუმენტაციამ ზუსტად უნდა განსაზღვროს სათანადო მოთხოვნები და მოიცვას, რამდენადაც ეს შეფასებისთვის იქნება აუცილებელი, ინფორმაცია პროდუქტის

საწარმოო ნიმუშის, წარმოების და ექსპლუატაციის შესახებ. ტექნიკური დოკუმენტაცია, საჭიროებისამებრ, უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ ელემენტებს:

- პროდუქტის საერთო აღწერილობას;

- კონცეპტუალურ პროექტს, ტექნოლოგიურ ნახაზებს და კომპონენტების, ქვესისტემების და სხვა სქემებს;

- აღნიშნული ნახაზების, სქემების და პროდუქტის ექსპლუატაციისთვის აუცილებელ აღწერილობას და განმარტებებს;

- ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისი სტანდარტების ან/და სხვა შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლების ჩამონათვალს, რომელიც გამოიყენება სრულად ან ნაწილობრივ, ასევე, აღწერილობას ტექნიკური რეგლამენტების ძირითადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მიღებული გადაწყვეტილებებისა მაშინ, როცა არ იყო გამოყენებული შესაბამისი სტანდარტები. შესაბამისი სტანდარტების ნაწილობრივი გამოყენების შემთხვევაში, ტექნიკურმა დოკუმენტაციამ ზუსტად უნდა განსაზღვროს სტანდარტის ის ნაწილები, რომელიც იქნა გამოყენებული;

- ნიმუშების გაანგარიშების, ჩატარებული ცდებისა და სხვა შედეგებს;

გამოცდების ანგარიშებს.

მწარმოებელმა უნდა უზრუნველყოს ტექნიკური დოკუმენტაციის შენახვა პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში და მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს შესაბამის ორგანოებს.

3. წარმოება

მწარმოებელმა უნდა მიიღოს ყველა ზომა, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ წარმოების პროცესითა და მონიტორინგით უზრუნველყოფილი იყოს წარმოებული პროდუქტის შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან.

4. გამოცდა

მწარმოებლის მიერ შერჩეულმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა განახორციელოს, ან განახორციელებინოს, შესაბამის სტანდარტებსა ან/და ტექნიკურ სპეციფიკაციებში დადგენილი სათანადო ცდები და გამოცდები, ან მათი ეკვივალენტური გამოცდები, რათა გამოიცადოს პროდუქტის შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. შესაბამისი სტანდარტებისა ან/და ტექნიკური სპეციფიკაციების გამოუყენებლობის შემთხვევაში, შესაბამისობის შემფასებელი პირი მიიღებს გადაწყვეტილებას სათანადო გამოცდების განხორციელების შესახებ.

შესაბამისობის შემფასებელი პირი გასცემს შესაბამისობის სერტიფიკატს განხორციელებული ცდებისა და გამოცდების საფუძველზე და დაიტანს საკუთარ აკრედიტაციის მოწმობის ნომერს/კანონით განსაზღვრული ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერს დამტკიცებულ პროდუქტზე, ან მისცემს მისი დატანის უფლებას საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ.

მწარმოებელმა უნდა შეინახოს შესაბამისობის სერტიფიკატები პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში და წარუდგინოს შესაბამის ორგანოებს მათი მოთხოვნის შემთხვევაში.

5. შესაბამისობის ნიშანდება და შესაბამისობის დეკლარაცია

5.1. მწარმოებელმა უნდა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისობის ნიშანდება და ამ მოდულის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისობის შემფასებელი პირის პასუხის-მგებლობის ქვეშ, უნდა დაიტანოს შესაბამისობის შემფასებელი პირის აკრედიტაციის მოწმობის ნომერი/კანონით განსაზღვრული ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერი თითოეულ პროდუქტზე, რომელიც აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის სათანადო მოთხოვნებს.

5.2. მწარმოებელმა უნდა შეადგინოს შესაბამისობის დეკლარაცია თითოეული პროდუქტის მოდელისთვის და უზრუნველყოს მისი შენახვა პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში და წარუდგინოს შესაბამის ორგანოებს მათი მოთხოვნის შემთხვევაში.

შესაბამისობის დეკლარაციაში ზუსტად უნდა განისაზღვროს პროდუქტის მოდელი, რომლისთვისაც ეს

დეკლარაცია შედგა.

შესაბამისობის დეკლარაციის ასლი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი ორგანოებისათვის, მათი მოთხოვნის საფუძველზე.

6. უფლებამოსილი წარმომადგენელი

ამ მოდულის მე-2 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული მწარმოებლის ვალდებულებები, შესაძლებელია შესრულდეს მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მისი სახელით და მისივე პასუხისმგებლობით, იმ პირობით თუ ეს განსაზღვრულია შესაბამისი ხელშეკრულებით.

მოდული H

შესაბამისობა დაფუძნებული ხარისხის სრულ უზრუნველყოფაზე

1. ხარისხის სრული უზრუნველყოფა პროდუქტის შესაბამისობისათვის წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურას, რომლის საშუალებითაც მწარმოებელი ასრულებს ამ მოდულის მე-2 და მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ვალდებულებებს და უზრუნველყოფს და იღებს სრულ პასუხისმგებლობას, რომ განხილული პროდუქტი აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. წარმოება

მწარმოებელმა, პროდუქტის პროექტირების, მისი წარმოებისა და საბოლოო პროდუქტის ინსპექტირებისა და გამოცდებისთვის, უნდა გამოიყენოს ამ მოდულის მე-3 პუნქტით განსაზღვრული დამტკიცებული ხარისხის სისტემა და დაექვემდებაროს ზედამხედველობას ამ მოდულის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

3. ხარისხის სისტემა

3.1. მწარმოებელმა, პროდუქტთან დაკავშირებული ხარისხის სისტემის შესაფასებლად, განაცხადით უნდა მიმართოს მის მიერ შერჩეულ შესაბამისობის შემფასებელ პირს.

განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მწარმოებლის ვინაობა და მისამართი და უფლებამოსილი წარმომადგენლის ვინაობა და მისამართი, თუ განაცხადი გაკეთებულია ამ უკანასკნელის მიერ;

- ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოებისთვის გამიზნული პროდუქტის თითოეული კატეგორიის ერთი მოდელისათვის. ტექნიკური დოკუმენტაცია, საჭიროებისამებრ, უნდა მოიცავდეს სულ მცირე, შემდეგ ელემენტებს:

- პროდუქტის საერთო აღწერილობას;

- კონცეპტუალურ პროექტს, ტექნოლოგიურ ნახაზებს და კომპონენტების, ქვესისტემების და სხვა სქემებს;

- აღნიშნული ნახაზების, სქემების და პროდუქტის ექსპლუატაციისთვის აუცილებელ აღწერილობას და განმარტებებს;

- ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისი სტანდარტების ან/და სხვა შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლების ჩამონათვალს, რომლებიც გამოიყენება სრულად ან ნაწილობრივ, ასევე, აღწერილობას ტექნიკური რეგლამენტების ძირითადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მიღებული გადაწყვეტილებებისა მაშინ, როცა არ იყო გამოყენებული შესაბამისი სტანდარტები. შესაბამისი სტანდარტების ნაწილობრივი გამოყენების შემთხვევაში, ტექნიკურმა დოკუმენტაციამ ზუსტად უნდა განსაზღვროს სტანდარტის ის ნაწილები, რომელიც გამოყენებული იქნა;

- საწარმოო ნიმუშების გაანგარიშების, ჩატარებული ცდებისა და სხვა შედეგებს;

- გამოცდების ანგარიშებს;

- ხარისხის სისტემასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს;

- წერილობით ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მწარმოებელს განაცხადით არ მიუმართავს სხვა შესაბამისობის შემფასებელი პირისათვის.

3.2. ხარისხის სისტემამ უნდა უზრუნველყოს პროდუქტის შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტის განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

მწარმოებლის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ხარისხის სისტემის კომპონენტების, მოთხოვნებისა და დებულებების შესახებ, უნდა იქნეს დოკუმენტირებული სისტემატურად და თანმიმდევ-რულად, პროცედურებისა და ინსტრუქციების სახით. ხარისხის სისტემის დოკუმენტაცია უნდა იძლეოდეს ხარისხის პროგრამების, გეგმების, სახელმძღვანელოებისა და დოკუმენტების უწყვეტი ინტერპრეტაციის საშუალებას.

კერძოდ, ის უნდა მოიცავდეს შემდეგ აღწერილობას:

- ხარისხის მიზნებს, საორგანიზაციო სტრუქტურას და მართვის პასუხისმგებლობებსა და უფლებამოსილებებს პროდუქტის პროექტირებისა და ხარისხის კუთხით;

- ტექნიკური პროექტის სპეციფიკაციებს იმ სტანდარტების ჩათვლით, რომლებიც იქნება გამოყენებული და შემთხვევებს, როცა შესაბამისი სტანდარტები და/ან ტექნიკური სპეციფიკაციები არ იქნება სრულად გამოყენებული და ასევე, უნდა მოიცავდეს საშუალებებს, რომლებიც გამოიყენება პროდუქტისათვის განსაზღვრული ტექნიკური რეგლამენტის ძირითადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;

- პროდუქტის პროექტირების კონტროლისა და გამოცდის მეთოდებს, პროცესებსა და სისტემატურ ქმედებებს, რომლებიც გამოიყენება პროდუქტის პროექტირებისას განსახილველი პროდუქტის კატეგორიასთან მიმართებაში;

- წარმოების, ხარისხის კონტროლის და ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამის მეთოდებს, პროცესებსა და გამოყენებულ სისტემატურ ქმედებებს;

- წარმოების დაწყებამდე, წარმოების განმავლობაში და მისი დასრულების შემდგომ ექსპერტიზასა და გამოცდებს და მათი განხორციელების სიხშირეს;

- ხარისხის დოკუმენტებს, ინსპექტირების ანგარიშებსა და გამოცდების მონაცემებს, დაკალიბრების მონაცემებს, შესაბამისი პერსონალის კვალიფიკაციის ამსახველ ანგარიშებს და სხვა;

პროექტის და პროდუქტის საჭირო ხარისხის მიღწევისა და ხარისხის სისტემის ეფექტური ფუნქციონირების მონიტორინგის საშუალებებს.

3.3. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეაფასოს პასუხობს თუ არა ხარისხის სისტემა ამ მოდულის 3.2 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ხარისხის სისტემის კომპონენტების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს იმ მოთხოვნებთან შესაბამისობას, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისი სტანდარტის ან/და ტექნიკური სპე-ციფიკაციის განხორციელებას.

ხარისხის მართვის სისტემებში გამოცდილების გარდა, აუდიტის ჯგუფში უნდა იყოს ერთი წევრი მაინც, რომელსაც ექნება სათანადო პროდუქტის სფეროს შეფასებისა და განსახილველი პროდუქტის დამზადების ტექნოლოგიის გამოცდილება და შესაბამისი კანონმდებლობის სათანადო ცოდნა. აუდიტი უნდა მოიცავდეს მწარმოებლის საწარმოო ნაგებობის ადგილზე შეფასებას. აუდიტის ჯგუფმა უნდა განიხილოს ამ მოდულის 3.1 პუნქტის მეორე აბზაცით განსაზღვრული დოკუმენტაცია, რათა შემოწმდეს მწარმოებლის მიერ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების იდენტიფიცირების უნარი და ჩატარდეს აუცილებელი ექსპერტიზა აღნიშნულ მოთხოვნებთან პროდუქტის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

გადაწყვეტილების შესახებ უნდა ეცნობოს მწარმოებელს, ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს.

შეტყობინება უნდა შეიცავდეს აუდიტის დასკვნებს და შეფასების დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

3.4. მწარმოებელმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა დამტკიცებული ხარისხის სიტემიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებაზე და ხარისხის ადეკვატურობისა და ეფექტურობის შენარჩუნებაზე.

3.5. მწარმოებელმა უნდა უზრუნველყოს ხარისხის სისტემაში შესატანი ნებისმიერი ცვლილების შესახებ იმ შესაბამისობის შემფასებელი პირის ინფორმირება, რომელმაც დაამტკიცა აღნიშნული სისტემა.

შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეაფასოს ყველა შეთავაზებული ცვლილება და გადაწყვიტოს, დარჩება თუ არა მოდიფიცირებული ხარისხის სისტემა ამ მოდულის 3.2 პუნქტით განსაზღვრული მოთ-ხოვნების შესაბამისი, თუ საჭირო გახდება ხელახალი შეფასების განხორციელება.

შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეატყობინოს მწარმოებლს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. შეტყობინება უნდა მოიცავდეს ჩატარებული გამოცდის დასკვნებსა და შეფასების დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

4. ზედამხედველობის განხორციელება შესაბამისობის შემფასებელი პირის პასუხისმგებლობის ქვეშ.

4.1. ზედამხედველობის მიზანია მწარმოებლის მიერ, დამტკიცებული ხარისხის სისტემიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების გარანტირება.

4.2. შესაბამისობის შეფასების მიზნებიდან გამომდინარე, მწარმოებელმა შესაბამისობის შემფასებელი პირისთვის უნდა უზრუნველყოს საწარმოო ნიმუშის შემუშავების, წარმოების, ინსპექტირების, გამოცდებისა და პროდუქტის საწყობების მისაწვდომობა და მისთვის ყველა აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება, კერძოდ:

- ხარისხის სისტემის დოკუმენტაცია;

ხარისხის ჩანაწერები, როგორც ამას ითვალისწინებს ხარისხის სისტემა პროდუქტის პროექტირების ნაწილში, მათ შორის, ანალიზების, გაანგარიშებების, გამოცდების და სხვა შედეგები.

4.3. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა ჩაატაროს პერიოდული აუდიტი იმის შესამოწმებლად, რომ მწარმოებელი უზრუნველყოფს ხარისხის სისტემის ფუნქციონირებას და უნდა წარუდგინოს მწარმოებელს აუდიტის ანგარიში.

4.4. ზემოაღნიშნულთან ერთად, შესაბამისობის შემფასებელი პირი შესაძლებელია, ადგილზე მოულოდნელად ეწვიოს მწარმოებელს შესამოწმებლად, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს მწარმოებელსა და შესაბამისობის შემფასებელ პირს შორის დადებულ ხელშეკრულებაში. ამგვარი ვიზიტის დროს, შესაბამისობის შემფასებელი პირი თავად ჩაატარებს, ან ჩაატარებინებს პროდუქტის გამოცდას, რათა დარწმუნდეს ხარისხის სისტემის სწორ ფუნქციონირებაში. შესაბამისობის შემფასებელი პირი მწარმოებელს წარუდგენს შემოწმების ანგარიშს და გამოცდების ჩატარების შემთხვევაში - გამოცდების ანგარიშს.

5. შესაბამისობის ნიშანდება და შესაბამისობის დეკლარაცია

5.1. მწარმოებელმა, უნდა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისობის ნიშანდება და ამ მოდულის 3.1 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისობის შემფასებელი პირის პასუხისმგებ-ლობის ქვეშ, უნდა დაიტანოს მისი აკრედიტაციის მოწმობის ნომერი/კანონით განსაზღვრული ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერი თითოეულ პროდუქტზე, რომელიც აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

5.2. მწარმოებელმა უნდა შეადგინოს შესაბამისობის დეკლარაცია თითოეული პროდუქტის მოდელისათვის და უზრუნველყოს მისი შენახვა პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში. შესაბამისობის დეკლარაციაში ზუსტად უნდა განისაზღვროს პროდუქტის მოდელი, რომლისთვისაც ეს დეკლარაცია შეიქმნა.

შესაბამისობის დეკლარაციის ასლი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი ორგანოებისათვის მათი მოთხოვნის, საფუძველზე.

6. მწარმოებელმა, პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს შენახვა და შესაბამის ორგანოებს წარუდგინოს შემდეგი:

- ამ მოდულის 3.1 პუნქტით განსაზღვრული ტექნიკური დოკუმენტაცია;

- ამ მოდულის 3.1 პუნქტით განსაზღვრული ხარისხის სისტემის დოკუმენტაცია;

- ამ მოდულის 3.5 პუნქტით განსაზღვრული ცვლილებები, მათი დამტკიცების შემთხვევაში;

ამ მოდულის 3.5, 4.3 და 4.4 პუნქტებით განსაზღვრული შესაბამისობის შემფასებელი პირის გადაწყვეტილებები და ანგარიშები.

7. თითოეულმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა მოახდინოს მასზე უფლებამოსილების გამცემი ორგანოს ინფორმირება ხარისხის სისტემის დამტკიცებასთან დაკავშირებული თანხმობის, ან უარის შესახებ და პერიოდულად, ან მოთხოვნისამებრ, წარუდგინოს საკუთარი უფლებამოსილების გამცემ ორგანოს მის მიერ დამტკიცებული, უარყოფილი, შეჩერებული, ან სხვა სახით შეზღუდული ხარისხის სისტემების სია.

თითოეულმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეატყობინოს იმავე სფეროში მოქმედ სხვა შესაბამისობის შემფასებელ პირებს ხარისხის სისტემაზე უარის თქმის, შეჩერების, გაუქმების, ან სხვა სახის შეზღუდვების შესახებ, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში, მის მიერ დამტკიცებული ხარისხის სისტემის შესახებ.

8. უფლებამოსილი წარმომადგენელი

ამ მოდულის 3.1, 3.5, მე-5 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრული მწარმოებლის ვალდებულებები, შესაძლებელია შესრულდეს მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მისი სახელით და მისივე პასუხისმგებლობით, იმ პირობით თუ ეს განსაზღვრულია შესაბამისი ხელშეკრულებით.

მოდული H1

შესაბამისობა დაფუძნებული ხარისხის სრულ უზრუნველყოფასა და

პროექტის შემოწმებაზე

1. შესაბამისობის განსაზღვრა, ხარისხის სრულ კონტროლზე და პროექტის შემოწმების საფუძველზე, წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურას, რომლის საშუალებითაც მწარმოებელი ასრულებს ამ მოდულის მე-2 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრულ ვალდებულებებს და უზრუნველყოფს და იღებს სრულ პასუხისმგებლობას, რომ პროდუქტი აკმაყოფილებს შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ მოთ-ხოვნებს.

2. წარმოება

მწარმოებელმა, პროდუქტის პროექტირების, მისი წარმოებისა და საბოლოო პროდუქტის ინსპექტირებისა და გამოცდებისთვის, უნდა გამოიყენოს ამ მოდულის მე-3 პუნქტით განსაზღვრული დამტკიცებული ხარისხის სისტემა და უნდა დაექვემდებაროს ზედამხედველობას ამ მოდულის მე-4 პუნქტის მიხედვით.

3. ხარისხის სისტემა

3.1. მწარმოებელმა, პროდუქტთან დაკავშირებული ხარისხის სისტემის შესაფასებლად, განაცხადით უნდა მიმართოს მის მიერ შერჩეულ შესაბამისობის შემფასებელ პირს.

განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მწარმოებლის ვინაობა და მისამართი, უფლებამოსილი წარმომადგენელის ვინაობა და მისამართი, თუკი განაცხადი გაკეთებულია ამ უკანასკნელის მიერ;

- ყველა საჭირო ინფორმაცია განსახილველი პროდუქტის კატეგორიასთან დაკავშირებით;

ხარისხის სისტემასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;

წერილობითი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მწარმოებელს განაცხადით არ მიუმართავს სხვა შესაბამისობის შემფასებელი პირისათვის.

3.2. ხარისხის სისტემამ უნდა უზრუნველყოს პროდუქტის შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან.

მწარმოებლის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ხარისხის სისტემის კომპონენტების, მოთხოვნებისა და დებულებების შესახებ, უნდა იქნეს დოკუმენტირებული სისტემატურად და თანმიმდევ-

რულად, პროცედურებისა და ინსტრუქციების სახით. ხარისხის სისტემის დოკუმენტაცია უნდა იძლეოდეს ხარისხის პროგრამების, გეგმების, სახელმძღვანელოებისა და დოკუმენტების უწყვეტი ინტერპრეტაციის საშუალებას.

კერძოდ, ის უნდა მოიცავდეს შემდეგ აღწერილობას:

- ხარისხის მიზნებს, საორგანიზაციო სტრუქტურას და მართვის პასუხისმგებლობებს და უფლებამოსილებებს პროექტირებისა და ხარისხის კუთხით;

- საწარმოო ნიმუშის ტექნიკურ სპეციფიკაციებს იმ სტანდარტების ჩათვლით, რომლებიც იქნება გამოყენებული და შემთხვევებს, როცა შესაბამისი სტანდარტები ან/და ტექნიკური სპეციფიკაციები არ იქნება სრულად გამოყენებული და ასევე, უნდა მოიცავდეს იმ საშუალებებს, რომლებიც გამოიყენება პროდუქტისათვის განსაზღვრული ტექნიკური რეგლამენტის ძირითადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;

- პროექტირების კონტროლისა და გამოცდის მეთოდებს, პროცესებსა და სისტემატურ ქმედებებს, რომლებიც გამოიყენება პროდუქტის ნიმუშის შემუშავებისას განსახილველი პროდუქტის კატეგორიასთან მიმართებით;

- წარმოების, ხარისხის კონტროლის და ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამის მეთოდებს, პროცესებს და სისტემატურ ქმედებებს, რომლებიც იქნება განხორციელებული;

- წარმოების დაწყებამდე, წარმოების განმავლობაში და მისი დასრულების შემდგომ ექსპერტიზას და გამოცდებს და მათი განხორციელების სიხშირეს;

- ხარისხის დოკუმენტებს, მათ შორის, ინსპექტირების ანგარიშები და გამოცდების მონაცემები, დაკალიბრების მონაცემები, შესაბამისი პერსონალის კვალიფიკაციის ამსახველი ანგარიშები და სხვა;

- პროდუქტის სავალდებულო ხარისხის მიღწევის და ხარისხის სისტემის ეფექტური ფუნქციონირების მონიტორინგის საშუალებებს.

3.3. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეაფასოს, პასუხობს თუ არა ხარისხის სისტემა ამ მოდულის 3.2 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ხარისხის სისტემის კომპონენტების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს იმ მოთხოვნებთან შესაბამისობას, რომელიც ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისი სტანდარტის ან/და ტექნიკური სპეციფიკაციის განხორციელებას უზრუნველყოფს.

ხარისხის მართვის სისტემებში გამოცდილების გარდა, აუდიტის ჯგუფში უნდა იყოს ერთი წევრი მაინც, რომელსაც ექნება სათანადო პროდუქტის სფეროს შეფასებისა და განსახილველი პროდუქტის დამზადების ტექნოლოგიის გამოცდილება და შესაბამისი კანონმდებლობის სათანადო ცოდნა. აუდიტი უნდა მოიცავდეს მწარმოებლის საწარმოო ნაგებობის ადგილზე შეფასებას.

გადაწყვეტილების შესახებ უნდა ეცნობოს მწარმოებელს, ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს.

შეტყობინება უნდა შეიცავდეს აუდიტის დასკვნებს და შეფასების დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

3.4. მწარმოებელმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა დამტკიცებული ხარისხის სიტემიდან გამომდინარე ვალდებულებების შეასრულებაზე და ხარისხის ადეკვატურობის და ეფექტურობის შენარჩუნებაზე.

3.5. მწარმოებელმა უნდა უზრუნველყოს ხარისხის სისტემაში შესატანი ნებისმიერი ცვლილების შესახებ იმ შესაბამისობის შემფასებელი პირის ინფორმირება, რომელმაც დაამტკიცა აღნიშნული სისტემა.

შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეაფასოს ყველა შეთავაზებული ცვლილება და გადაწყვიტოს, დარჩება თუ არა მოდიფიცირებული ხარისხის სისტემა ამ მოდულის 3.2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი თუ, საჭირო გახდება ხელახალი შეფასების განხორციელება.

შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეატყობინოს მწარმოებელს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. შეტყობინება უნდა მოიცავდეს ჩატარებული გამოცდის დასკვნებს და შეფასების დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

3.6. თითოეულმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა მოახდინოს მასზე უფლებამოსილების გამცემი ორგანოს ინფორმირება ხარისხის სისტემის დამტკიცებასთან დაკავშირებული თანხმობის, ან უარის შესახებ და პერიოდულად, ან მოთხოვნისამებრ, წარუდგინოს საკუთარი უფლებამოსილების გამცემ ორგანოს მის მიერ უარყოფილი, შეჩერებული, ან სხვა სახით შეზღუდული ხარისხის სისტემების სია.

თითოეულმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეატყობინოს იმავე სფეროში მოქმედ სხვა შესაბამისობის შემფასებელ პირებს ხარისხის სისტემაზე უარის თქმის, შეჩერების, გაუქმების, ან სხვა სახის შეზღუდვების შესახებ, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში, მის მიერ დამტკიცებული ხარისხის სისტემის შესახებ.

4. პროექტის შემოწმება

4.1. მწარმოებელმა, პროექტის შემოწმებისათვის, განაცხადით უნდა მიმართოს ამ მოდულის 3.1 პუნქტით განსაზღვრულ შესაბამისობის შემფასებელ პირს.

4.2 განაცხადში გასაგებად უნდა იყოს აღწერილი პროდუქტის საწარმოო ნიმუში, პროდუქტის წარმოება და ფუნქციონირება, ამასთან, იგი უნდა იძლეოდეს სათანადო ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის შეფასების საშუალებას და უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მწარმოებლის ვინაობა და მისამართი;

- წერილობით ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მწარმოებელს იმავე განაცხადით არ მიუმართავს სხვა შესაბამისობის შემფასებელი პირისათვის;

- ტექნიკურ დოკუმენტაციას. დოკუმენტაცია უნდა იძლეოდეს პროდუქტის შესაბამისობის შეფასების საშუალებას სათანადო მოთხოვნებთან და უნდა შეიცავდეს რისკ(ებ)ის ადეკვატურ ანალიზსა და შეფასებას. ტექნიკურმა დოკუმენტაციამ ზუსტად უნდა განსაზღვროს სათანადო მოთხოვნები და მოიცვას, რამდენადაც ეს შეფასებისთვის იქნება აუცილებელი, ინფორმაცია პროდუქტის დაპროექტების, წარმოებისა და ექსპ-ლუატაციის შესახებ. ტექნიკური დოკუმენტაცია საჭიროებისამებრ უნდა შეიცავდეს, სულ მცირე შემდეგ ელემენტებს:

- პროდუქტის საერთო აღწერილობას;

- კონცეპტუალურ პროექტს, ტექნოლოგიურ ნახაზებსა და კომპონენტების, ქვესისტემების და სხვა სქემებს;

- აღნიშნული ნახაზების და სქემების გაგებისა და პროდუქტის ექსპლუატაციისთვის აუცილებელ აღწერილობასა და განმარტებებს;

- ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისი სტანდარტების ან/და სხვა შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლების ჩამონათვალს, რომლებიც გამოიყენება სრულად ან ნაწილობრივ, ასევე, აღწერილობას ტექნიკური რეგლამენტების ძირითადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მიღებული გადაწყვეტილებებისა მაშინ, როცა არ იყო გამოყენებული შესაბამისი სტანდარტები. შესაბამისი სტანდარტების ნაწილობრივი გამოყენების შემთხვევაში კი, ტექნიკურმა დოკუმენტაციამ ზუსტად უნდა განსაზღვროს სტანდარტის ის ნაწილები, რომელიც იქნა გამოყენებული;

- საპროექტო გაანგარიშების, ჩატარებული ცდებისა და სხვა შედეგებს;

- გამოცდების ანგარიშებს;

- დამატებით მტკიცებულებებს პროექტის ადეკვატურობის დასადასტურებლად. აღნიშნულ მტკიცებულებებში შედის ყველა გამოყენებული დოკუმენტი, მათ შორის, იმის შესახებ, რომ არ მოხდა შესაბამისი სტანდარტის, სტანდარტების ან/და ტექნიკური სპეციფიკაციების სრულად გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში, მოცემული უნდა იყოს მწარმოებლის შესაბამის ლაბორატორიაში, ან მისი სახელით და პასუხისმგებლობით, სხვა ლაბორატორიაში ჩატარებული გამოცდების შედეგები.

4.3. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეისწავლოს განაცხადი და იმ შემთხვევაში, თუ პროექტი პასუხობს პროდუქტისთვის შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს, შესაბამისობის შემფასებელი პირი მწარმოებლისთვის გასცემს პროექტის შესაბამისობის სერტიფიკატს. სერტიფიკატი უნდა შეიცავდეს მწარმოებლის ვინაობასა და მისამართს, გამოცდების დასკვნებს, სერტიფიკატის ვალიდურობის პირობებს (თუკი ასეთი არსებობს) და საჭირო მონაცემებს დამტკიცებული საწარმოო ნიმუშის იდენტიფიკაციისათვის.

სერტიფიკატს შესაძლოა ქონდეს ერთი, ან მეტი დანართი.

სერტიფიკატი და მისი დანართები უნდა მოიცავდეს ყველა სათანადო ინფორმაციას, რომელიც იძლევა წამოებული პროდუქტისა და შემოწმებული საწარმოო ნიმუშის შესაბამისობის შეფასების საშუალებას და საჭიროების შემთხვევაში, მისი კონტროლის შესაძლებლობას ექსპლუატაციის პროცესში.

იმ შემთხვევაში, თუ საწარმოო ნიმუში არ პასუხობს შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს, შესაბამისობის შემფასებელი პირი მწარმოებელს ეუბნება უარს სერტიფიკატის გაცემაზე და შესაბამისად, წერილობით აცნობებს მას უარის მიზეზებს.

4.4. შესაბამისობის შემფასებელი პირი უნდა ფლობდეს ინფორმაციას არსებული ტექნიკური განვითარების დონესთან დაკავშირებული ყველა სახის ცვლილებების შესახებ, რის მიხედვითაც მოწონებული საწარმოო ნიმუში აღარ დააკმაყოფილებს შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის შესაბამის მოთხოვნებს და ამ შემთხვევაში, შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა გადაწყვიტოს, საჭიროებს თუ არა აღნიშნული ცვლილებები შემდგომ კვლევას. მსგავს შემთხვევაში, მწარმოებელი უნდა იყოს ინფორმირებული შესაბამისობის შემფასებელი პირის მიერ.

დამტკიცებული ტიპის ყველა მოდიფიკაციის შესახებ, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს პროდუქტის ტექნიკური რეგლამენტის ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ან სერტიფიკატის პირობების ვალიდურობაზე, მწარმოებელმა უნდა აცნობოს იმ შესაბამისობის შემფასებელ პირს, რომელიც ფლობს ტიპის სერტიფიკატთან დაკავშირებულ ტექნიკურ დოკუმენტაციას. ასეთ მოდიფიკაციებს ესაჭიროებათ დამატებითი დამტკიცება, რასაც უნდა ჰქონდეს ადრე გაცემული პროდუქტის ტიპის სერტიფიკატის დამატების ფორმა.

4.5. თითოეულმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეატყობინოს საკუთარი უფლებამოსილების მიმნიჭებელ ორგანოს მის მიერ გაცემული, ან გაუქმებული პროექტის შესაბამისობის სერტიფიკატების ან/და ნებისმიერი დამატების შესახებ და პერიოდულად, ან მოთხოვნისამებრ, მასზე უფლებამოსილების გამცემი ორგანოსთვის ხელმისაწვდომი უნდა გახადოს იმ სერტიფიკატებისა ან/და დამატებების სია, რომლის გაცემაზე მან უარი თქვა, დროებით შეაჩერა, ან სხვა მხრივ შეზღუდა.

თითოეულმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა შეატყობინოს იმავე სფეროში მოქმედ სხვა შესაბამისობის შემფასებელ პირებს პროექტის შესაბამისობის სერტიფიკატების ან/და მათი ნებისმიერი დამატებების შესახებ, რომლის გაცემაზე მან უარი თქვა, ან დროებით შეაჩერა, ან სხვა შეზღუდვები დააწესა, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში, აცნობოს მას მის მიერ გაცემული სერტიფიკატების ან/და დამატებების შესახებ.

იმავე სფეროში მოქმედ სხვა შესაბამისობის შემფასებელ პირებს შეუძლიათ, მოთხოვნის საფუძველზე, მოიპოვონ პროექტის შესაბამისობის სერტიფიკატების ან/და მათი ნებისმიერი დამატების ასლები. მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამის ორგანოებს შეუძლიათ მოიპოვონ ტექნიკური დოკუმენტაციის და შესაბამისობის შემფასებელი პირების მიერ განხორციელებული გამოკვლევის შედეგების ასლები.

შესაბამისობის შემფასებელმა პირმა, სერტიფიკატის ვალიდურობის ვადის გასვლამდე, უნდა იქონიოს პროექტის შესაბამისობის სერტიფიკატების, მისი დანართების და დამატებების ასლები, ასევე, ტექნიკური დოკუმენტაცია მწარმოებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ჩათვლით.

4.6. მწარმოებელმა უნდა უზრუნველყოს პროექტის შესაბამისობის სერტიფიკატების, მისი დანართებისა და დამატებების ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად შენახვა, პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში.

5. ზედამხედველობის განხორციელება შესაბამისობის შემფასებელი პირის პასუხისმგებლობის ქვეშ.

5.1. ზედამხედველობის მიზანია მწარმოებლის მიერ, დამტკიცებული ხარისხის სისტემიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების გარანტირება.

5.2. შესაბამისობის შეფასების მიზნებიდან გამომდინარე, მწარმოებელმა შესაბამისობის შემფასებელი პირისათვის უნდა უზრუნველყოს პროექტირების, წარმოების, ინსპექტირების, გამოცდებისა და პროდუქტის საწყობების მისაწვდომობა და მისთვის ყველა აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება. კერძოდ:

- ხარისხის სისტემის დოკუმენტაცია;

- ხარისხის დოკუმენტები, როგორც ამას ითვალისწინებს ხარისხის სისტემის საწარმოო ნიმუშების ნაწილი, როგორიცაა ანალიზის, გაანგარიშებების, გამოცდების და სხვა შედეგები;

- ხარისხის დოკუმენტები, როგორც ამას ითვალისწინებს ხარისხის სისტემის წარმოების ნაწილი, მათ შორის, ინპექტირების ანგარიშები, გამოცდების მონაცემები, დაკალიბრების მონაცემები, შესაბამისი პერსონალის კვალიფიკაციის ანგარიშები და სხვა.

5.3. შესაბამისობის შემფასებელმა პირმა უნდა ჩაატაროს პერიოდული აუდიტი იმის შესამოწმებლად, რომ მწარმოებელი უზრუნველყოფს ხარისხის სისტემის ფუნქციონირებას და მწარმოებელს უნდა წარუდგინოს აუდიტის ანგარიში.

5.4. ზემოაღნიშნულთან ერთად, შესაბამისობის შემფასებელი პირი შესაძლებელია, ადგილზე მოულოდნელად ეწვიოს მწარმოებელს შესამოწმებლად, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს მწარმოებელსა და შესაბამისობის შემფასებელ პირს შორის დადებულ ხელშეკრულებაში. ამგვარი ვიზიტის დროს, შესაბამისობის შემფასებელი პირი, საჭიროებისამებრ, თავად ჩაატარებს, ან ატარებინებს პროდუქტის გამოცდებს, რათა დარწმუნდეს ხარისხის სისტემის სწორ ფუნქციონირებაში. შესაბამისობის შემფასებელი პირი მწარმოებელს წარუდგენს შემოწმების ანგარიშს და გამოცდების ჩატარების შემთხვევაში- გამოცდების ანგარიშს.

6. შესაბამისობის ნიშანდება და შესაბამისობის დეკლარაცია

6.1. მწარმოებელმა, უნდა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისობის ნიშანდება და ამ მოდულის 3.1 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისობის შემფასებელი პირის პასუხისმგებ-ლობის ქვეშ, უნდა დაიტანოს მისი აკრედიტაციის მოწმობის ნომერი/კანონით განსაზღვრული ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერი თითოეულ პროდუქტზე, რომელიც აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

6.2. მწარმოებელმა უნდა შეადგინოს შესაბამისობის დეკლარაცია თითოეული პროდუქტის მოდელისათვის და უზრუნველყოს მისი შენახვა პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში. შესაბამისობის დეკლარაციაში ზუსტად უნდა განისაზღვროს პროდუქტის მოდელი, რომლისთვისაც ეს დეკლარაცია შეიქმნა.

შესაბამისობის დეკლარაციის ასლი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი ორგანოებისათვის, მათი მოთხოვნის შემთხვევაში.

7. მწარმოებელმა, პროდუქტის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში უნდა შეინახოს და მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შესაბამის ორგანოებს შემდეგი:

- ამ მოდულის 3.1 პუნქტით განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტაცია;

- ამ მოდულის 3.5 პუნქტით განსაზღვრული ცვლილებები, მათი დამტკიცების შესაბამისად;

- ამ მოდულის 3.5, 5.3 და 5.4 პუნქტებით განსაზღვრული შესაბამისობის შემფასებელი პირის ანგარიშები.

8. უფლებამოსილი წარმომადგენელი

მწარმოებლის უფლებამოსილ წარმომადგენელს შეუძლია შეიტანოს ამ მოდულის 4.1 და 4.2 პუნქტებით განსაზღვრული განაცხადი და შეასრულოს ამ მოდულის 3.1, 3.5, 4.4, 4.6, მე-6 და მე-7 პუნქტებით გან-საზღვრული ვალდებულებები მისი სახელით და მისივე პასუხისმგებლობით, იმ პირობით თუ ეს განსაზღვრულია შესაბამისი ხელშეკრულებით.

დანართი 2. შესაბამისობის შეფასების პროცედურების ცხრილი			
A. შიდა საწარმოო კონტროლი	B. პროდუქტის ნიმუშის (ტიპის) შეფასება	G. ცალკეული ნაკეთობის ვერიფიკაცია	H. ხარისხის სრული უზრუნველყოფა
მწარმოებელი - ინახავს ტექნიკურ დოკუმენტაციას შესაბამისი ორგანოებისათვის წარსადგენად, მოთხოვნის შემთხვევაში	მწარმოებელი წარუდგენს შესაბამისობის შემფასებელ ორგანოს: -ტექნიკურ დოკუმენტაციას; - დამატებით მტკიცებულებებს პროდუქტის ტექნიკურ პროექტში გამოყენებული გადაწყვეტების შესახებ; - ნიმუშ(ებ)ს, გათვალისწინებული პროდუქციიდან, საჭიროებისამებრ.		ISO 9001(4) მწარმოებელი - იყენებს დამტკიცებულ ხარისხის სისტემას დაპროექტებისათვის - წარადგენს ტექნიკურ დოკუმენტაციას

	შესაბამისობის შემფასებელი ორგანო: - ადგენს შესაბამისობას ძირითად მოთხოვნებთან; - შეისწავლის ტექნიკურ დოკუმენტაციას და დამატებით მტკიცებულებებს ტექნიკური პროექტის ადეკვატურობის შესაფასებლად; - საჭიროების შემთხვევაში, ნიმუშ(ებ)ისთვის ატარებს გამოცდებს, - გასცემს პროდუქტის ტიპის სერტიფიკატს				მწარმოებელი - წარადგენს ტექნიკურ დოკუმენტაციას	H1 შესაბამისობის შემფასებელი ორგანო:[1] - ახორციელებს ხარისხის სისტემის ზედამხედველობას;[2]
	C. ტიპთან შესაბამისობა	D. წარმოების ხარისხის უზრუნველყოფა	E. პროდუქტის ხარისხის უზრუნველყოფა	F. პროდუქტის ვერიფიკაცია		
A. მწარმოებელი - აკეთებს განაცხადს ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობაზე - დაიტანს სავალდებულო შესაბამისობის ნიშანდებას	C. მწარმოებელი - აკეთებს განაცხადს დამტკიცებულ ტიპთან შესაბამისობაზე - დაიტანს სავალდებულო შესაბამისობის ნიშანდებას	ISO 9001 (2) მწარმოებელი - იყენებს დამტკიცებულ ხარისხის სისტემას წარმოებაში, საბოლოო ინსპექტირებასა და გამოცდაში - აცხადებს შესაბამისობას დამტკიცებულ ტიპთან - დაიტანს სავალდებულო შესაბამისობის ნიშანდებას	ISO 9001 (3) მწარმოებელი - იყენებს დამტკიცებულ ხარისხის სისტემას საბოლოო ინსპექტირებასა და გამოცდაში - აცხადებს შესაბამისობას დამტკიცებულ ტიპთან - დაიტანს სავალდებულო შესაბამისობის ნიშანდებას	მწარმოებელი - აკეთებს განაცხადს დამტკიცებულ ტიპთან შესაბამისობაზე - დაიტანს სავალდებულო შესაბამისობის ნიშანდებას	მწარმოებელი - წარადგენს პროდუქტს - აცხადებს შესაბამისობის შესახებ - დაიტანს სავალდებულო შესაბამისობის ნიშანდებას	მწარმოებელი - იყენებს დამტკიცებულ ხარისხის სისტემას წარმოების, ინსპექტირების და გამოცდებისთვის - აცხადებს შესაბისობის შესახებ - დაიტანს სავალდებულო შესაბამისობის ნიშანდებას
A1. შესაბამისობის შემფასებელი პირი - ახორციელებს პროდუქტის სპეციფიკური ასპექტების გამოცდას [3]	C1. შესაბამისობის შემფასებელი პირი - ახორციელებს პროდუქტის სპეციფიკური ასპექტების გამოცდას [4]	D1. აცხადებს ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობას - დაიტანს სავალდებულო შესაბამისობის ნიშანდებას	E1. აცხადებს ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობას - დაიტანს სავალდებულო შესაბამისობის ნიშანდებას	F1. აცხადებს ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობას - დაიტანს სავალდებულო შესაბამისობის ნიშანდებას		
A2. პროდუქტის კონტროლი შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული დროის ინტერვალით	C2. პროდუქტის კონტროლი შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული დროის ინტერვალით	შესაბამისობის შემფასებელი პირი - ამტკიცებს ხარისხის სისტემას - ახორციელებს ხარისხის სისტემის ზედამხედველობას	შესაბამისობის შემფასებელი პირი - ამტკიცებს ხარისხის სისტემას - ახორციელებს ხარისხის სისტემის ზედამხედველობას	შესაბამისობის შემფასებელი პირი - ადგენს ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობას - გასცემს შესაბამისობის სერტიფიკატს	შესაბამისობის შემფასებელი პირი - ადგენს ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობას - გასცემს შესაბამისობის სერტიფიკატს	შესაბამისობის შემფასებელი პირი - ახორციელებს ხარისხის სისტემის ზედამხედველობას.

---

[1] დამატებითი მოთხოვნები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სექტორულ კანონმდებლობაში

[2] გარდა ამ მოდულის 7.3 პუნქტისა და იმ მოთხოვნებისა, რომლებიც შეეხება მომხმარებლის დაკმაყოფილებასა და მისი მომსახურების უწყვეტ გაუმჯობესებას

[3] გარდა ამ მოდულის 7.3 პუნქტისა და იმ მოთხოვნებისა, რომლებიც შეეხება მომხმარებლის დაკმაყოფილებას და მისი მომსახურების უწყვეტ გაუმჯობესებას

[4] გარდა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც შეეხება მომხმარებლის დაკმაყოფილებას და მისი მომსახურების უწყვეტ გაუმჯობესებას

.

დანართი №3

შესაბამისობის დეკლარაცია

1. №... (პროდუქტის უნიკალური იდენტიფიკაცია);

2. მეწარმის, ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ვინაობა და მისამართი;

3. მოცემული შესაბამისობის დეკლარაცია გაცემულია მეწარმის (ან დამმონტაჟებლის) სრული პასუხისმგებლობის ქვეშ;

4. დეკლარაციის საგანი (პროდუქციის იდენტიფიკაცია, რომელიც იძლევა მიკვლევადობის საშუალებას. ეს შესაძლოა მოიცავდეს ფოტოს, საჭიროების შემთხვევაში);

5. ზემოთ აღწერილი დეკლარაციის საგანი შესაბამისობაშია შემდეგ ტექნიკურ რეგლამენტ(ებ)თან: ----------

6. გამოყენებული ჰარმონიზებული სტანდარტების,ან სპეციფიკაციებზე მითითებით, რომელთანაც დაკავშირებითაც ცხადდება შესაბამისობა: ----------

7. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისობის შემფასებელმა პირმა ….(დასახელება, ნომერი) … განახორციელა…… (მონაწილეობის/ჩარევის აღწერა) და გასცა სერტიფიკატი …

8. დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერილია .....-ის სახელით: ----------

(გამოქვეყნების ადგილი და თარიღი):

(სახელი, ფუნქცია) (ხელმოწერა):

_____.